ბარამიძის წერილი და პრეზიდენტის რეზოლუცია A2
წერილები მთავრობას A4
TV პროგრამა A8

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 12 აგვისტო, 2003 წელი. №217 (429)
ფასი 30 თეთრი

## სიმაღლის მიხედვით დავეწყობით და წავალთ!

ვერიკო თევზაძე

**– უცხოეთში მოქმედი საელჩოს თანამშრომლები რომ შევამციროთ, იმათი საქართველოში დასაბრუნებელი თანხები გვაქვს?**

**– არა.**

**– აბა, რას ვშვრებით, ამ ხალხს ქუჩაში ვტოვებთ?**

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე, სადაც საგარეო სექტორის დაფინანსების საკითხს განიხილავდნენ, გაირკვა, რომ უცხოეთში მოქმედი დიპლომატიური დაწესებულებების თანამშრომელთა (თუ მათ საშტატო ერთეულს შეუმცირებენ) საქართველოში დაბრუნება უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე მათთვის ხელფასების გაცემა. ასე რომ, ამ შემთხვევაში სეკვესტრი, პირიქით, ფინანსურად უფრო დააზარალებს ქვეყანას.

"საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტის თანახმად, საგარეო სექტორის დაფინანსება 28 მილიონი ლარიდან 25 მილიონ ლარამდე მცირდება. მათ შორის, ხარჯები საზღვარგარეთ მოქმედ დიპლომატიურ დაწესებულებებზე – 1800 მლნ ლარით. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯები კი უცვლელი რჩება, იგი 1500 მლნ ლარს შეადგენს. დეპუტატებმა ვერსია წამოაყენეს - ეს მილიონ ნახევარი ლარი საზღვარგარეთ მოქმედი საელჩოების დაფინანსებაზე გადასროლილიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შედეგად შეიძლება, გაერო-მ სანქცია დაგვიწესოს.

საქარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დაფინანსება 28,6 პროცენტით მცირდება. ეს, დაახლოებით, ნიშნავს იმას, რომ ელჩებსა და დიპლომატებს ხელფასს მისცემენ, მაგრამ უსახსრობის გამო მივლინებაში ვერ

გაგრძელება A2 გვერდზე

## სახელისუფლებო საარჩევნო რესური - მითი და რეალობა

გოგა ოქროპირიძე

საქართველოში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანი ფორმით ჩატარება სათუო გახდა, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების და დამატებების ხელისუფლებისათვის მისაღები პროექტის კანონად ქცევამ აღმასრულებლებს ჩვეული მანიპულაციებისკენ გზა გაუხსნა. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სახელისუფლებო რესურსის მოსალოდნელი ამოქმედებით მიღებულ შედეგებს საარჩევნო კომისიებში დამტკიცების პრობლემა არ შეექმნება.

### ოპოზიცია დამკვირვებლის როლში

პარლამენტში ფრაქცია "XXI საუკუნის" მიერ შემოტანილი საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების კანონის მიღებამ საგრძნობლად დაათბო ურთიერთობები ოფიციალურ თბილისსა და ბათუმს შორის. როგორც ჩანს, შევარდნაძე და აბაშიძე საარჩევნოდ კვლავ ერთად იქნებიან. ეს ალიანსი ოპოზიციას თამაშგარე მდგომარეობაში ტოვებს. საარჩევნო კომისიებში მიღებული ადგილების მოკრძალებული რაოდენობა მათ მხოლოდ საპატიო დამკვირვებლების როლით დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს.

საარჩევნო კოდექსში ცვლილებების ბეიკერის ვარიანტის მომხრე ოპოზიციურმა პარტიებმა მაქსიმალური მოინდომეს. დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით ფრთებშესხმულებმა საარჩევნო კომისიების პარიტეტული წესით დაკომპლექტების და თანამედროვე საარჩევნო ნორმების შემოტანით ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ხავერდოვანი გზით პოლიტიკური არენიდან წასვლა შესთავაზეს. ოპოზიციის ძალისხმევამ უკუეფექტი გამოიღო და ბუნებრივად გამოიწვია ოფიციალური ბათუმის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაახლოება. საარჩევნო კოდექსში ცვლილების ბეიკერის ვარიანტის მიღება "აღორძინებისათვის" აქამდე გარანტირებული ხმების შვიდ პროცენტს სათუოს ხდიდა. ამავე მიზეზით სახელისუფლებო ფრაქციების გვერდით აღმოჩნდნენ "მრეწველები", როგორც ჩანს, ბოლოდროინდელი შესუსტებული პოზიციების კომპენსაციას ისინი საარჩევნო კომისიებში მიღებული ადგილების ხარჯზე აპირებენ. სახელისუფლებო ბლოკთან

გაგრძელება A3 გვერდზე

## თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ხელისუფლება მართლმსაჯულებას იყენებს

***"საოლქო სასამართლოს მიერ გუშინ გამოტანილი გადაწყვეტილება დასტურია იმისა, რომ ხელისუფლება თავისუფალი მედიის წინააღმდეგ დევნას აწარმოებს, რისთვისაც მართლმსაჯულებას იყენებს,"*** *– გუშინ საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ასეთი შეფასება არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთხმად მისცეს.*

საქმე ისაა, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ გუშინ დაწყებულ სასამართლო პროცესზე განაჩენი გუშინვე, რამდენიმე საათში გამოიტანა და „საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის სარჩელი სასამართლო კამათის გარეშე სრულად დააკმაყოფილა. სასამართლო კოლეგიამ გადაცემა „60 წუთს" აკაკი ჩხაიძის პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა და მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მილიონი ლარის გადახდა დააკისრა.

აკაკი ჩხაიძის საეჭვო საქმიანობის შესახებ "60 წუთის" გადაცემა 2002 წლის 27 ოქტომბერს გავიდა ეთერში. ამჟამად აშშ-ში მცხოვრებმა ბიზნესმენმა ალექსანდრე მაღლაფერიძემ, რომელიც თავის დროზე აკაკი ჩხაიძის პარტნიორი იყო, რკინიგზის გენერალურ დირექტორს სერიოზული ბრალდებები წაუყენა და აკაკი ჩხაიძე მუქარასა და დევნაში, საერთაშორისო დამნაშავეებთან ურთიერთობაში, მკვლელობის შეკვეთაში და სოლიდური თანხების გაფლანგვაში დაადანაშაულა. სხვათა შორის, მაღლაფერიძე უკვე წლებია, აკაკი ჩხაიძის წინააღმდეგ გამოდის და მისი საჩივარი საქართველოს გენერალურ პროკურატურასაც არაერთხელ მიუღია, მაგრამ მათ არც ერთ შემთხვევაში სამართლებრივი მსვლელობა არ მოჰყოლია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სამართლიანი და სამართლებრივი ქვეყნისთვის

ლელა მჭედლიძე

ქვეყნის მეორე პირი "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" რიგითი წევრია. ეს ასოციაციის წევრებთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე გაირკვა, ამასთან ერთად ისიც, რომ თუ ასოციაციის წარმომადგენლები ბურჯანაძისნაირი წევრით ამაყობენ, თავად ბურჯანაძესაც ასოციაციის წევრობა, რამდენიმე გარემოების გამო, საამაყოდ მიაჩნია.

მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ თავისი პროგრამის ძირითადი პრინციპები წარმოადგინა, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან გადაწყვიტა შეხვედრა. პირველი ვიზიტი "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" შედგა. დღეს პარლამენტის თავმჯდომარე უკვე "ახალგაზრდა ეკონომისტებს" უნდა შეხვდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე



ვახო ხაინდრავას ფოტო

*პარლამენტის თავმჯდომარე არასამთავრობო სექტორთან ერთად ცდილობს სამართლებრივი კლიმატის გაუმჯობესებას*

## დასავლეთისკენ - რუსეთთან ერთად

თამარ ხორბალაძე

### ორიენტაცია

რუსთაველის პროსპექტზე გამოჩენილი წარწერა-ლოზუნგი: "დასავლეთისკენ - რუსეთთან ერთად", ძალიან მოგვაგონებს ორიოდე საუკუნის წინანდელ გულუბრყვილო სურვილს, დასავლეთისკენ რუსეთში გაჭრილი ფანჯრის გავლით წავსულიყავით. ამ გულუბრყვილობით, საბოლოოდ, საქართველო დასავლეთს დიდი ხნით მოწყდა და რუსეთის იმპერიის ერთ საცოდავ გუბერნიად აქცია.

არადა, გუშინ საქართველოს პრეზიდენტის მსჯელობას სწორედ "რუსეთთან ერთად", მაგრამ "ორიენტაციაშეუცვლელად" სიარულის აზრი გასდევდა ლაიტმოტივად:

**"გავრცელებული ხმები საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების შესახებ არის კარგად გამიზნული დემაგოგია ან უმეცრების გამოვლენა, რაც კიდევ უფრო უარესია,** - ამ სიტყვებით უარყოფდა გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მოსაზრებას საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების შესახებ და ოპოზიციას აკრიტიკებდა, **- ამ ადამიანებმა არ იციან, რა არის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და, მით უმეტეს - საგარეო პოლიტიკური ბალანსი. როგორ შეიძლება პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა ვუწოდოთ იმას, რომ ვცდილობთ მოქალაქეთა ელემენტარული პრობლემების მოგვარებას და მათი სინათლით და სითბოთი უზრუნველყოფას. თავისუფალი ადამიანი მაშინაა, როცა ენერგია და სითბო აქვს".**

გუშინ პრეზიდენტმა ხაზგასმით მიუთითა, რომ კვლავ ემხრობა 1995 წელს გამოცხადებულ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს. მისი თქმით, ქვეყნის საგარეო ორიენტირები კეთდება ინტეგრაციულ პროცესებსა და ფასეულობებზე. შევარდნაძემ საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას სწორედ "ამერიკელი მეგობრები" ურჩევენ: **"ჩვენ დაგეხმარებით, მაგრამ თქვენ რუსეთთან უნდა ითანამშრომლოთ, გაითვალისწინოთ მისი კანონიერი ინტერესები და მიაღწიოთ ამ ინტერესთა თანხვედრას."**

გაგრძელება A2 გვერდზე

## რუს დიპლომატს თავს დაესხნენ

გუშინ, გვიან ღამით, ავტომატით შეიარაღებული ორი ნიღბიანი მამაკაცი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან თავს დაესხა საქართველოში რუსეთის ელჩის თანაშემწეს ალექსანდრე ვოლუხინს. საკუთარი ავტომობილიდან, ტოიოტას მარკის ჯიპიდან გადმოსული ალექსანდრე ვოლუხინისათვის თავდამსხმელები მანქანის გასაღების წართმევას შეეცადნენ. წინააღმდეგობის გაწევას ბოროტმოქმედების მხრიდან გასროლა მოჰყვა, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა დიპლომატს ავტომატის კონდახით თავი გაუტეხეს. ხმაურზე გამოსულმა მოსახლეობამ თავდამსხმელები დააფრთხო და ისინი მიიმალნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ვოლუხინმა სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე უარი განაცხადა, შემთხვევის ადგილას მისულმა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციამ დაზარალებული რესპუბლიკურ საავადმყოფოში იძულებით გადაიყვანა. გუშინვე, გვიან ღამით, ვოლუხინმა სამართალდამცველებს ახსნა-განმარტება მისცა.

## მთავრობა რკინის კასრში

გიორგი გახელაძე

სახელმწიფო მინისტრს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ გაჩაღებულ "დამძირავ" კამპანიაში ძალოვანები და მათი ახალი კურატორი ანზორ ბალუაშვილი აჰყვნენ. ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ გუშინდელ თათბირზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩააბარა ანგარიში კონტრაბანდასა და აღურიცხავ საქონელთან ბრძოლის თაობაზე. მან ექვს დღეში გამოვლენილ, 358 ათასი ლარის ოდენობის 38 სამართალდარღვავზე ილაპარაკა და არც ერთი მფარველი "ბობოლა" არ დაუსახელებია, მაგრამ ჯორბენაძე-ბალუაშვილის ქება დაიმსახურა. თანაც, მისგან ბუნებრივადაც კი მიიღეს კონკრეტული გვარების დაფარვა - ისიც იკმარეს, რომ თამბაქოს აღურიცხავ ნაწარმში ზოგადად მოიხსენია "ბრიტიშ-ამერიკენ ტობაკოს", "საქართველოს თამბაქოსა" და "ოჯთ"-ის მცირე პარტიები. ამას მოჰყვა თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის თავკაცის გელა კობეშავიძის "ჩაჭრილი პასი" ფინანსთა მინისტრის საჯარიმოში: **"ჩვენ, 22 არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით, მოვითხოვთ ფინანსთა სამინისტროსაგან, 15 დღეში წარმოადგინოს ანტიკონტრაბანდული გეგმა,**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ევროპა „იწვის"







*დასიცხული ევროპელები შადრევანში გრილდებიან*

დასავლეთ ევროპაში არსებულმა უჩვეულოდ მაღალმა ტემპერატურამ ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საფრანგეთის საგანგებო სიტუაციების ექიმთა ასოციაციის დირექტორმა პატრიკ პელომ უკანასკნელ ხანებში გარდაცვლილი ადამიანებისათვის დოკუმენტებში ბუნებრივი სიკვდილის ჩაწერის გამო საფრანგეთის მთავრობა მკაცრად გააკრიტიკა. მისი მტკიცებით, სიკვდილიანობის მიზეზი მაღალი ტემპერატურაა.

საფრანგეთის დედაქალაქში ტემპერატურამ 35 გრადუს ცელსიუსს გადააჭარბა. ამგვარი მდგომარეობა ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. კვირას კი კიდევ ერთი რეკორდი მოიხსნა: ღამით პარიზში ჰაერის ტემპერატურამ 25.5 გარდუსს მიაღწია.

ევროპაში სიცხის გამო, სულ მცირე, 40 ადამიანი დაიღუპა.

ამას გარდა, მაღალი ტემპერატურის გამო, შესაძლოა, ევროპის ზოგიერთი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩეს, რადგან კონდიციონერების მოხმარება პიკს აღწევს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## მთიან ყარაბაღში ვითარება დაიძაბა

ტომას დე ვაალი
IWPR, სტეპანაკერტი

ბაქოში განვითარებულ მოვლენებს ყარაბაღში შეშფოთებით ადევნებენ თვალს. "მართალია, რომ ალიევი კვდება? - ეკითხება აქაური კაფეს პატრონი კარინა პირველივე უცხოელს, რომელიც თვალში მოხვდა, - ძლივს დავამთავრე ამ კაფეს მშენებლობა და ახალი ომი ნამდვილად არ მინდა".

აზერბაიჯანში არსებული დაძაბულობა და პრეზიდენტის ავადმყოფობით გამოწვეული ხელისუფლების ცვლილება პირდაპირ მოქმედებს მთიანი ყარაბაღის ირგვლივ არსებულ ვითარებაზეც. მომავალი კიდევ უფრო გაურკვეველი ხდება.

1994 წელს სომხეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მას შემდეგ ყარაბაღსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს სომხები აკონტროლებენ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებისაგან განსხვავებით, დაპირისპირებულ მხარეთა შორის საერთაშორისო სამშვიდობო ძალები არ დგანან. ზავის შენარჩუნება მხარეთა სურვილზეა დამოკიდებული.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ "კონტროლის ხაზის" რომელიმე მხარეს პოლიტიკური ვითარების გამწვავება ავტომატურად იწვევს საზღვარზე სიტუაციის გართულებასაც. თუ მოვლენები ყველაზე ცუდი სცენარით განვითარდა, ერთ-ერთ დედაქალაქში პოლიტიკურმა არეულობამ შეიძლება საზღვარზე შეჯახებების გახშირება გამოიწვიოს, რაც შესაძლებელია ახალ ომში გადაიზარდოს.

ბოლო ორი თვის მანძილზე საზღვარზე ვითარება ძალზე დაძაბულია, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ბოლო წლების მანძილზე.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ყველაზე ხშირად სამხრეთ აზერბაიჯანში, ფიზულის რაიონში მდებარე სოფელ გარახანბეილის მიდამოებში ირღვევა. ვრცელდება ინფორმაცია სომხეთ-ნახჭევანის საზღვარზე და სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის ჩრდილოეთით მომხდარი ინციდენტების შესახებაც. მსხვერპლის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს. სომხური მხარე ამტკიცებს, რომ მათ მხოლოდ ერთი ჯარისკაცი მოუკლეს და ორი დაუჭრეს. აზერბაიჯანი აღიარებს, რომ ბოლო ორ თვეში საზღვარზე მათ 11 ჯარისკაცი დაკარგეს. ბოლო წლის განმავლობაში დაიღუპა 30 და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 18 აზერბაიჯანელი მესაზღვრე.

გაგრძელება A5 გვერდზე

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 38 |
| ქუთაისი | 39 |
| ბათუმი | 38 |
| სოხუმი | 37 |
| ფოთი | 37 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.3797 |
| გირვანქა სტერლ | 3.3762 |
| რუბლი | 0.0695 |

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ხელისუფლება მართლმსაჯულებას იყენებს

პირველი გვერდიდან

თუმცა, გადაცემა „60 წუთით" გავრცელებული ფაქტები, ანუ მაღლაფერიძის ბრალდებები, გენერალურ პროკურატურაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ საბოლოოდ მაინც გამოიძია, ოღონდაც მაშინ, როცა თავად აკაკი ჩხაიძემ შელახული ღირსების აღდგენა მოითხოვა. პროკურატურამ გამოიძია და დაადგინა, რომ ალექსანდრე მაღლაფერიძე, რომელიც ჩხაიძის ძირითადი ბრალმდებელი იყო, შანტაჟს ეწეოდა. პროკურატურის დასკვნით, ჩხაიძესა და მაღლაფერიძეს შორის საქმიანი ურთიერთობების შემდეგ მაღლაფერიძემ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის ნდობა მოიპოვა და მას 74 ათასი აშშ დოლარი მოტყუებით წაართვა. ანუ, გენერალურმა პროკურატურამ, ფაქტობრივად, მაღლაფერიძე დაადანაშაულა.

გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებით ზურგგამაგრებულმა აკაკი ჩხაიძემ საოლქო სასამართლოს მიმართა და მისი შელახული ღირსების აღსადგენად მილიონი ლარი მოითხოვა. თავის დროზე "60 წუთისა" და კულტურის ყოფილი მინისტრის სამართლებრივი დავაც მსგავსი სიუჟეტით წარიმართა, ვალერი ასათიანმაც სწორედ გენერალური პროკურატურის მიერ შექმნილი გამამართლებელი დასკვნით გაიმყარა პოზიციები.

**"პირველი წუთიდანვე გასაგები იყო, რაც ხდებოდა, სასამართლომ ჩვენს მიერ წარდგენილი არც ერთი მტკიცებულება არ მიიღო, არც კი მოგვისმინა. გუშინდელ გადაწყვეტილებას აუცილებლად უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრებთ. მეტიც, საქმის კურსში ჩავაყენებთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს,"** – აცხადებს გადაცემა „60 წუთის" ავტორი აკაკი გოგიჩაიშვილი.

სხვათა შორის, სასამართლოს მიერ პატივისა და ღირსების შემლახავ ინფორმაციად მიჩნეული ფაქტები, რომელიც გადაცემა "60 წუთში" იყო გამოყენებული, FBI-ის მასალები, კონტროლის პალატის აქტები, ფინანსთა სამინისტროს დოკუმენტები და პარლამენტის კომისიის მიერ "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის საეჭვო საქმიანობის თაობაზე გაკეთებული სქელტანიანი დასკვნა გახლავთ.

გადაცემა "60 წუთი" ცოტა ხნის წინ აშშ-ს გამომძიებელ რედაქტორთა და ჟურნალისტთა ეროვნული ასოციაციის მიერ ჩატარებული კონკურსის პრიზიორი გახდა. ამ პრესტიჟულ კონკურსზე "60 წუთს" აღიარება სწორედ იმ გადაცემისთვის მიენიჭა, რომელზეც გუშინ საოლქო სასამართლომ ვერდიქტი გამოიტანა. სხვათა შორის, არსებული ინფორმაციით, სასამართლო კოლეგიის შემადგენლობა გუშინდელი გადაწყვეტილების გამოტანისას ერთსულოვანი არ ყოფილა. კოლეგიის ერთ-ერთი წევრი კოლეგებს არ დაეთანხმა.

როგორც გითხარით, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას "60 წუთი" უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

## მოკლედ

### ბიურო ვერ შედგა, მაგრამ

გუშინ საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომამ, კვორუმის არარსებობის გამო, რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების პროექტი ვერ შეიტანა. მიუხედავად ამისა, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მთავრობას ოფიციალურად შემოტანილი პროექტი არ გაუწვევია და ამიტომ იგი მაინც უნდა განიხილონ, რათა გაჭიანურება პარლამენტს არ დაბრალდეს.

გუშინ გადაწყდა, რომ რიგგარეშე სესიის დღევანდელი სხდომა 12 საათზე "საარჩევნო კოდექსის" განხილვით განახლდება.

როგორც ბიუროს სხდომაზე ფრაქცია "აღორძინების" წევრმა ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, პარლამენტში ბიუჯეტის კორექტირების პროექტი არ შესულა, წარმოდგენილი პროექტი კი, ფაქტობრივად, ახალი ბიუჯეტია.

**"კორექტირება იმას ნიშნავს, რომ გავარკვიოთ, რომელ უწყებას რა თანხა ჩამოეჭრა და რამდენით. ალბათ, მოვიდა დრო, პარლამენტმა თავის თავს პატივი სცეს და აღმასრულებელ ხელისუფლებას თავი აღარ გააშაყირებინოს,"** - განაცხადა ჯავახიშვილმა და მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვა.

ჯავახიშვილს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც დაეთანხმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტის კორექტირების წარმოდგენილი პროექტით პარლამენტის დაფინანსება 20 პროცენტით მცირდება, რაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირების შეწყვეტის ტოლფასია. ბურჯანაძემ აქვე გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ სეკვესტრის პროექტით სახელმწიფო კანცელარიის ხარჯები მხოლოდ 5 პროცენტით მცირდება.

**24 საათი**

### სახელისუფლებოები თათბირობენ

გუშინ ახალ ოფისში სახელისუფლებო ბლოკმა „ახალი საქართველოსათვის" დახურული სხდომა გამართა, სადაც სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ამ რეგიონში წინასაარჩევნო მზადების საკითხები განიხილეს.

სხდომას სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე, ასევე, კანცელარიის რეგიონული სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებული თემურ მოსიაშვილი დაესწრნენ.

შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სახელიუფლებო ბლოკის სახელისუფლებო ბერკეტების ამოქმედებას ამ არჩევნებში მთელი ძალით გეგმავს.

**24 საათი**

### თბილისის ნარკობაზარი პანკისის ხეობიდან შემოსული ნარკოტიკით აღარ მარაგდება

ახმეტის პოლიციის თანამშრომლებმა პანკისის ხეობის სოფელ კუჭახტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ქისტი თენგიზ ბორჩაშვილი.

ბირკიანში მცხოვრებ ბორჩაშვილს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და მას ხელჩანთაში 18 ჩეკად დაფასოებული 8 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. სამართალდამცველთა წინასწარი ინფორმაციით, ბორჩაშვილმა ჰეროინი კუჭახტში ბირკიანიდან სარეალიზაციოდ ჩაიტანა. გარდა ამისა, პოლიციამ მის ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღო 2 გრამი ჰეროინი, 2 ცალი ხელყუმბარა, ერთი ცალი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი და აფთიაქის სასწორი, რომელსაც იგი ჰეროინის ასაწონად იყენებდა.

ბორჩაშვილის წინააღმდეგ საქმე ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა-რეალიზაციის მუხლით აღიძრა. დაკავებული უკვე თბილისის მე-5 იზოლატორში გადმოიყვანეს.

კახეთის პოლიციის სამმართველოს უფროსის ზურაბ ტუშურის ინფორმაციით, ბორჩაშვილი ნარკოტიკების რეალიზაციაში შემჩნეული აქამდე არ ყოფილა და, შესაბამისად, არც მისი გვარი იყო ცნობილი პოლიციისთვის. რაც შეეხება საერთო სიტუაციას, კახეთის პოლიციის სამმართველოს უფროსი აცხადებს, რომ პანკისის ხეობაში დღეისთვის აღარ საქმიანობს არც ერთი მსხვილი ნარკორეალიზატორი.

**"ზოგი დაკავებულია, ზოგი მათგანი გადაიკარგა, ზოგმა კი თავი დაანება ამ საქმიანობას, ამიტომაც ხეობაში, ისევე, როგორც კახეთის სხვა რაიონებში, მხოლოდ წვრილ-წვრილ ნარკოვაჭრებს თუ შეხვდებით. გამომდინარე იქედან, რომ პანკისის ხეობის ნარკობაზარი განადგურდა, თბილისის შავ ბაზარზე პანკისიდან ნარკოტიკი აღარ შედის და ნარკოტიკის შესაძენად ხეობაში უცხო ადამიანები აღარ ჩამოდიან,"** – აცხადებს ზურაბ ტუშური.

**24 საათი**

### შევარდნაძე ოს პატიმრებზე ზრუნავს

**"ოსი ეროვნების პატიმრის შეწყალების ფაქტი ხელს შეუწყობს ორმხრივი ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუმჯობესებასა და კონტაქტების გაღრმავებას,"** - ასე აფასებენ შევარდნაძის კეთილი ნების ჟესტს. გუშინ ხონის კოლონია ჩერმეტ ბუკულოვმა, ედუარდ შევარდნაძის მონდომებითა და გადაწყვეტილებით, ვადამდე ადრე დატოვა. ოსი პატიმარი სასჯელს იარაღის უკანონოდ ტარებისთვის იხდიდა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შევარდნაძემ მასზე ზრუნვა სამი თვის წინ დაიწყო, მისი გათავისუფლების აქტი შეადგინა და საქმეს ბოლომდე მიჰყვა.

ოსი პატიმრის გათავისუფლებას გუშინ ჩვეულებრივად არ ჩაუვლია - პრეზიდენტმა შევარდნაძემ ჩერმეტ ბუკოლოვს ხონის კოლონიაში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აახლა და მის გათავისუფლებას საზეიმო ცერემონიის სახე მისცა.

როგორ დააფასებენ გუშინ გათავისუფლებული და მისი თანამემამულენი ქართველი პრეზიდენტის კეთილ ნებას, ან რამდენად შეუწყობს ხელს ჩერმეტ ბუკულოვის ხონის საპყრობილიდან გათავისუფლება გართულებული ქარულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას, წინასწარ ძნელი სათქმელია. ფაქტია – შევარდნაძემ ედუარდ კოკოითის მიერ, დაახლოებით, ორი თვის წინ განხორციელებული ქართველთა შეწყალების საპასუხო ნაბიჯი გადადგა. ქართველ ტუსაღთა შეწყალებისა და მათი ქართული მხარისთვის დაბრუნების შემდეგ ოსმა კოლეგამ შევარდნაძეს სწორედ ქართულ საპყრობილეებში მყოფი ოსი პატიმრების შეწყალების თაობაზე მიანიშნა.

**24 საათი**

### აქცია პარლამენტის ცხელ კიბეებზე

ბასილ მკალავიშვილის მრევლის მიერ პარლამენტის კიბეებზე მოწყობილი გუშინდელი აქცია მშვიდობიანად დასრულდა. დღეს მათი წარმომადგენლები პროკურატურას ეწვევიან და სექტანტური ლიტერატურის დაწვისთვის ბასილ მკალავიშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გაუქმებას მოითხოვენ.

**"ჩვენ არც ხელფასებს ვითხოვთ, არც პენსიებს, მამა ბასილს თავი დაანებეთ,"** – გაჰკიოდნენ გლდანის მართმადიდებლური ეპარქიის წარმომადგენლები, რომელთაც თემურ მღებრიშვილის რჩევას, წადით დედაენის სახელობის ბაღის ჩრდილში დასხედითო, ყურიც არ ათხოვეს და პარლამენტის ცხელ კიბეებზე ჩამოჯდომა ამჯობინეს. **"სექტანტური ლიტერატურა დავწვი მე"** –ასეთი შინაარსის ტრანსფარანტი ჰქონდა ჩამოკიდებული გულზე თითოეულ მათგანს, რითიც, ალბათ, ბასილ მკალავიშვილის უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა. აქციის მონაწილეებმა არც პოლიციის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სამმართველოს უფროსის მოადგილეს მიხეილ გიორგაძეს დაუჯერეს. პარლამენტის შენობას უკანა მხრიდან მაინც მოუარეთ და იქ დასხედითო, სთხოვდა გიორგაძე მკალავიშვილის მრევლს. **"პოლიცია არც კაცს ერიდება და არც ქალს, თუკი წესრიგს დაარღვევს,"** – აფრთხილებდა მღებრიშვილი აქციის მონაწილეებს, თუმცა, საქმე აქამდე არ მისულა. პოლიციის დაჟინებულმა მოთხოვნამ და საშინელმა სიცხემ თავისი გაიტანა, და აქციის მონაწილეები მშვიდობიანად დაიშალნენ.

**24 საათი**

# „ნაციონალები" იუსტიციის სამინისტროს ახალი მოთხოვნებით „ეწვივნენ"

ნანა ქადაგიშვილი

*გუშინ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროს კვლავ "ეწვივნენ". საპროტესტო აქციის მონაწილეებმა რუსთაველის გამზირზე, ცოტა ხნით, მანქანების მოძრაობაც შეაჩერეს. "თუკი იუსტიციის სამინისტრო ჩვენს მოთხოვნას არ შეასრულებს, მცირერიცხოვან აქციებს აღარ დავჯერდებით, სექტემბრიდან ათასობით მხარდამჭერს შემოვიერთებთ და მოსახლეობას ყველაფერს დავუბრუნებთ, რაც ხელისუფლებამ წაართვა, ელექტროენერგიას, ბუნებრივ აირს, წყალს..." – დაპირდნენ "ნაციონალები" შეკრებილ მოქალაქეებს.*



*"ნაციონალების" საპროტესტო აქცია იუსტიციის სამინისტროსთან.*

"ნაციონალური მოძრაობის" გუშინდელი აქციის მიზეზი იუსტიციის სამინისტროში დიფერენცირებული ტარიფის პროექტის დასამტკიცებლად წარდგენა გახლდათ. როგორც ცნობილია, ეს პროექტი ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ შეიმუშავა და იუსტიციის სამინისტროს 7 აგვისტოს წარუდგინა. თუკი მას სამინისტრო დაამტკიცებს, ელექტროენერგიის ახალი, დიფერენცირებული ტარიფი ძალაში პირველი ნოემბრიდან შევა. **"სემეკის მიერ შემუშავებული პროექტი თუ ამოქმედდა, საქართველო სოციალური კატასტროფის პირას აღმოჩნდება. პროექტის მიხედვით, 100 კილოვატზე მეტი ელექტრენერგიის მომხმარებლისთვის ტარიფი 14-დან 17 თეთრამდე გაიზრდება. მხოლოდ 100 კილოვატის მოხმარება კი ნიშნავს, რომ ერთი ნათურის, მაცივრისა და ტელევიზორის გარდა არაფერი გამოიყენო. ეს იყო რუსეთის შეკვეთა, რომელიც ნათელაშვილმა (ქართველმა ჟირინოვსკიმ) და შევარდნაძემ ერთობლივად განახორციელეს. ჩვენ ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ და ყველა დამნაშავეს სასამართლოში ვუჩივლებთ,"** – განაცხადეს "ნაციონალებმა" და გუშინდელი აქცია მშვიდობიანად დაასრულეს.

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია კი გვარწმუნებს, რომ რუსეთი არაფერ შუაშია. **"სემეკი იძულებული იყო, ელექტროენერგიის ტარიფის ძველი ოდენობა დაებრუნებინა. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ტარიფის შემცირებას მოითხოვს, მაგრამ არსებობს სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაც, რომელიც ტარიფში კომპონენტების მფლობელთა შემცირებული წილის აღდგენას ითვალისწინებს. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება "ენგურჰესის" სარჩელის საფუძველზე გამოიტანა. ამის გარდა, ტარიფის ძველი ოდენობის აღდგენა სავალუტო ფონდმაც მოითხოვა, რადგან ტარიფი ეკომონიკურად გაანგარიშებული და დასაბუთებული უნდა იყოს. ჩვენს მიერ შემუშავებული პროექტი სავალუტო ფონდის მოთხოვნასაც ასრულებს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც ითვალისწინებს. ტარიფი დიფერენცირებულია და 4 საფეხურისგან შედგება. 100 კილოვატსაათის მომხმარებლისთვის კვლავ 12, 18 თეთრი რჩება (გამოკითხვამ აჩვენა, რომ თბილისის 206 900 მოქალაქე, საშუალოდ, თვეში 100 კილოვატ ელექტროენერგიას მოიხმარს), 100-200 კილოვატსაათზე ტარიფი 13,7 თეთრია, 200-400 კილოვატზე – 15 თეთრი, ხოლო ვინც 400 კილოვატზე მეტს მოიხმარს – მათთვის ტარიფი 16,8 თეთრი იქნება,"** – აცხადებს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია.

# დასავლეთისკენ - რუსეთთან ერთად

პირველი გვერდიდან

ამავე კონტექსტში პრეზიდენტი კონფლიქტების მოგვარების პრობლემასაც შეეხო. **"აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარება რუსეთის მონაწილეობის გარეშე რთულია, უფრო ზუსტად კი, შეუძლებელია,** – თქვა მან და საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა, - **ინტეგრაციულ საკითხებშიც კი მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთთან, რადგანაც იგი ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე წინ გვისწრებს."**

## დემოკრატია

ედუარდ შევარდნაძემ დემოკრატიის მშენებლობის გზაზე გადადგმული "მნიშვნელოვანი ნაბიჯი" უწოდა პარლამენტის გადაწყვეტილებას ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების შესახებ.

**"გადაიდგა დიდი ნაბიჯი მომავალი საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზაზე. ეს გადაწყვეტილება მთლიანად შეესაბამება, როგორც პუნქტუალურად, ისე სულიერად, ჯეიმს ბეიკერის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს,"** - განაცხადა მან.

პრეზიდენტის თქმით, ბეიკერის ვიზიტის დროს ოპოზიციას შორის ადგილების გადანაწილებაზე არავითარი შეთანხმება არ ყოფილა.

**"მთავარი იყო კვოტების საკითხი, კვოტების განაწილება კი ოპოზიციის საქმეა, რომელმაც, სამწუხაროდ, შეთანხმება ვერ შეძლო,"** - განაცხადა მან.

შევარდნაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ უკმაყოფილოები, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მაინც "ნაკლები ბოროტებაა".

**"რამდენიმე ოპოზიციური პარტიის მიერ შემოთავაზებული წინადადებით, რომ ცესკო-ში ადგილების განაწილება პარიტეტულ საფუძველზე მომხდარიყო, შესაძლოა მთელი რეგიონი ქვეყნის იურისდიქციის გარეთ დარჩენილიყო, რაც დიდი ბოროტება იქნებოდა,"** - თვლის იგი.

პრეზიდენტმა პარლამენტს მოუწოდა, რომ მალე მიიღონ მთელი საარჩევნო კოდექსი და ამომრჩეველიც დაამშვიდა: **"მალე გამოვცემ ბრძანებულებას ხალხის ნების თავისუფლად გამოხატვის უზრუნველსაყოფად, სადაც ჩადებული იქნება პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა მოსყიდვაზე, სამწუხაროდ, მინდა აღვნიშნო, რომ ამომრჩეველთა მოსყიდვა უკვე მიმდინარეობს."**

## კორუფცია

საქართველოს პრეზიდენტის დაკვირვებით, ნავთობგასამართი სადგურების უკან **"მარტო ის კი არ დგას, ვინც დგას..."** აქვე შევარდნაძე რაციონალური წინადადებითაც გამოვიდა. კერძოდ, უშიშროების მინისტრს ყველა კორუმპირებული ჩინოვნიკის მიწვევა და მათთან საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება შესთავაზა.

**"სახელმწიფო ჩინოვნიკები თითქმის ყველა დონეზე იღებენ ქრთამებს, რაც სახელმწიფოს დიდ ზიანს აყენებს. ვაპირებთ კორუფციონერებს დიდი დარტყმა მივაყენოთ, რათა მათ აღარ შეუქმნან წინააღმდეგობა სახელმწიფოს, ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობის გზაზე,"** - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორუფციასთან ბრძოლის კუთხით გააქტიურდა ანტიკორუფციული საბჭო, რომელმაც სერიოზული კვლევები მოამზადა საგზაო პოლიციაში არსებული სიტუაციის შესახებ. შს მინისტრის განცხადების მიუხედავად, რომ ჯერჯერობით არაა მზად საკადრო ცვლილებებისათვის, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კობა ნარჩემაშვილი მალე მიიღებს ყველა აუცილებელ გადაწყვეტილებას, მათ შორის საკადრო საკითხებშიც.

და ბოლოს – არაკორუფციულ ასპექტში შევარდნაძემ გუშინ ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა "გაორიც" გაიხსენა და თქვა, რომ მის მუშაობას ხელს საკანონმდებლო და სახელისუფლებო დონეზე უშლიან, რაც ფაქტობრივი დანაშაულია. სხვათა შორის – ედუარდ შევარდნაძეს გუშინ არ დაუსახელებია, ვინ დგას "გაორის" უკან...

# ბარამიძის წერილი და პრეზიდენტის რეზოლუცია

ლელა მჭედლიძე

დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ბარამიძე თავისი რაიონის მოსახლეობის სახელით პრეზიდენტს მიმართავს. თუმცა, როგორც "დემოკრატების" ფრაქციის ლიდერი განმარტავს, ბაზრობებისა და გარე ვაჭრობის პრობლემა მხოლოდ დიდუბელების პრობლემა არაა, თუნდაც იმის გამო, რომ აღურიცხავი საქონლის გაყიდვითა და "მარცხენა" ფულის მოძრაობით ბიუჯეტს სერიოზული თანხები აკლდება.

**"დღევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის 135 მილიონიანი სეკვესტრის გამომწვევი მიზეზებიდან ერთ-ერთი, სწორედ კონტრაბანდული და აღურიცხავი საქონელი გახლავთ, რომლიც ეროვნული სტადიონისა და ეწ. ბაზრობის და ბაზრის მიმდებარე ტერტორიაზე საღდება,"** - ატყობინებს ბარამიძე პრეზიდენტს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო
*გია ბარამიძე იმედოვნებს, რომ პრეზიდენტის რეზოლუცია შესრულდება*

"დემოკრატების" ფრაქციის თავმჯდომარის განცხადებით, ძალოვანი და მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლები დიდუბის რაიონში მოვაჭრეებისაგან სულ მცირე 30 ათას ლარს იღებენ, რაც თვეში დაახლოებით მილიონ ლარს უდრის. ანტისანიტარიის გარდა, დიდუბის მოსახლეობას საავტომობილო მოძრაობის შეფერხების გამოც ექმნებათ პრობლემები. გარე მოვაჭრეების მიერ შექმნილი საცობების გამო ხშირად გადაუდებელი სასწრაფო დახმარება ძალზე გვიან მიდის ავადმყოფთან.

პრეზიდენტმა ბარამიძის წერილს 7 აგვისტოს რეზოლუცია დაადო და ქალაქის მერს, ფინანსთა, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს უმოკლეს ვადაში ღონისძიებების გატარება დაავალა. ბარამიძე იმედს იტოვებს, რომ პრეზიდენტის რეზოლუცია ლიტონ სიტყვებად არ დარჩება და შესაბამისი უწყებები პრეზიდენტის დავალებას რეალურად შეასრულებენ.

# სიმაღლის მიხედვით დავეწყობით და წავალთ!

პირველი გვერდიდან

გაგზავნიან. **"თუ ელჩს მივლინებაში არ გავგზავნით, ანუ მუშაობის საშუალებას წავართმევთ, მაშინ ხელფასს რისთვისღა ვაძლევთ?"** - დეპუტატების ეს შეკითხვა რიტორიკული უფრო იყო.

კომიტეტის სხდომაზე ბევრი იმსჯელეს ხარჯების და ფინანსების ერთი მიმართულებიდან მეორეში გადანაწილებაზე, გამოთქმა "პოსლესაც" ხმარობდნენ, მაგრამ არც "პოსლეზე" გამოუვიდათ არაფერი.

შოთა დოლონძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე: **"სეკვესტრი, რომელსაც ბიუჯეტის შესახებ კანონი ითვალისწინებს, ჩვენს სისტემას საბოლოოდ დაანგრევს. ასეთ სიტუაციაში სინდისიერი კაცი სამინისტროდან წავიდოდა. ჩვენ მართლა ვფიქრობთ, რომ სიმაღლის მიხედვით დავეწყოთ და წავიდეთ."** დოლონძე ნოლაიდელის დროს შენატრის: **"დამიბრუნეთ ნოლაიდელი! ყველაზე რთული ურთიერთობა ამ მინისტრთან მქონდა, მაგრამ სიტყვის კაცი იყო, რასაც დაგპირდებოდა, აუცილებლად შეასრულებდა."**


ლევან ხერხეულიძის ფოტო
*დამიბრუნეთ ნოლაიდელი! - მოითხოვს შოთა დოლონძე*

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა დაასკვნა, რომ საგარეო სექტორი იმდენად პრიორიტეტულია, რომ მისი დაფინანსების შემცირებამ, შეიძლება, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება ეჭვქვეშ დააყენოს. აქედან გამომდინარე, თუ პარლამენტი ხსენებულ შენიშვნას არ გაიზიარებს, კომიტეტი ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტს მხარს ვერ დაუჭერს.

## ორი სიტყვით

**თბილისი**. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები თანამდებობიდან უნდა გადადგნენ. "ცსკო-ს ირგვლივ იმდენი პრეტენზია ისმოდა ყველა პოლიტიკური ძალის და მოსახლეობის მხრიდან, რომ ეს უფრო სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა," - მიაჩნია სპიკერს. მან იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტში სამშაბათს რიგგარეშე სხდომაზე საარჩევნო კოდექსის განხილვისას აღარ განმეორდება გასული კვირას მომხდარი აბსურდი პროექტის მე-18 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიის ძველ წევრებს ახალ კომისიებში მუშაობას უკრძალავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე კვირას რიგგარეშე სხდომებზე აუცილებლად უნდა დადგეს მთავრობის პასუხიმგებლობის საკითხი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის და მისი სეკვესტრის გამო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს, სტალინის შვილთაშვილმა, 31 წლის მხატვარმა იაკობ ჯუღაშვილმა "მონაგონი" უწოდა პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულ ცნობას, თითქოს იგი 2 ნოემბერს, დიდი პაპის მშობლიურ ქალაქ გორიდან საქართველოს პარლამენტში კენჭისყრას აპირებდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გაერთიანებულმა დემოკრატებმა", რომლებიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით 5 ივლისიდან მხარდამჭერთა სიებს აგროვებენ, 230 ათასი მხარდამჭერი აღრიცხეს. აქედან დაახლოებით 90 ათასი თბილისელია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ამერიკელ სამხედრო ინჟინერთა 30-კაციანი ჯგუფი, "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში, მრავალნაციონალური წვრთნების "Medceur/Rescuer-2003"-ის მოსამზადებლად საქართველოში 15-16 აგვისტოს ჩამოვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიმდინარე კვირის ბოლოს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მიერ აშენებული დასასვენებელი კომპლექსის "იმედის" გახსნის ცერემონიაზე დასასწრებად ურეკში გაემგზავრება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციის ნატო-ს დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით, შესაძლოა ამ ქვეყანაში "ჯარები და ხალხის ნაკადი გაიგზავნოს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ლევან მამალაძე ქვეყნიდან „ეი-ი-ესის" წასვლის გამო სიხარულს ვერ მალავს და ცდილობს, ეს სიხარული არგუმენტებით გაამყაროს.

პრეზიდენტის რწმუნებული ენერგოობიექტების გასხვისების საკითხში სახელმწიფოს მონაწილეობას გამორიცხავს და აცხადებს, რომ „მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაკოტრებულმა „ეი-ი-ესმა" საკუთარი ქონება" რუსულ კომპანიას დაუთმო; ვაიპოლიტიკოსები კი ამას მთავრობას ედავებიან.

მამალაძის განცხადებით, მან უკვე მიმართა პრეზიდენტსაც და სახელმწიფო მინისტრსაც, რომ „ეი-ი-ესის" ვალების სამართალმემკვიდრე „რაო ეესმა" თავის თავზე აიღოს მეათე ენერგობლოკის აფეთქების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთის შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოს უკანასკნელ რეზოლუციას დადებითად აფასებს და რეზოლუციით უკმაყოფილო აფხაზეთის ომის ვეტერანებს, რომლებიც ხელისუფლების უმოქმედობის გამო შიმშილობის აქციების დაწყებას გეგმავენ, პროტესტის გამოხატვის ფორმების შერჩევას ურჩევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას რუსეთის პრემიერ-მინისტრის მიხაილ კასიანოვის საქართველოში ვიზიტის თაობაზე, თუმცა ოქტომბერში თბილისში რუსეთის კულტურის ცენტრის გახსნის ცერემონიალზე რუსეთის პირველი ლედის ლუდმილა პუტინას ჩამოსვლას არ გამორიცხავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ზღვაზე 22 წლის ახალგაზრდა დაიხრჩო. ახალგაზრდა ქალმა მოცურავეებს ნაპირიდან საშველად მოუხმო. იგი სასოწარკვეთილი ემუდარებოდა გარშემომყოფთ, გადაერჩინათ ახალგაზრდა, რომელიც ცურვის დროს მოულოდნელად წყლის ქვეშ გაუჩინარდა. დაკარგულ ახალგაზრდას, დაახლოებით, 10-15 წუთის განმავლობაში ეძებდნენ. სამწუხაროდ, წყლიდან იგი უკვე დამხრჩვალი ამოიყვანეს. სავარაუდოდ, მას გული გაუსკდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ინფორმაციით, კონტრაბანდის წინააღმდეგ საგანგებო ღონისძიებების განხორციელების შედეგად შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ფოთის პორტში მილიონი კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღო.

შევარდნაძის განცხადებით, ყველაზე დიდი დანაკარგი ბიუჯეტს ნავთობროდუქტებიდან და კონტრაბანდული სიგარეტიდან აქვს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**მცხეთა.** მცხეთიდან პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბადრი ხატიძემ და მცხეთის გამგებელმა შალვა ხამხაძემ პარლამენტარ გურამ შარაძეს და მის მხარდამჭერებს ქალაქის გამგეობის შენობის წინ ორშაბათს დანიშნული საპროტესტო მიტინგის ჩატარების საშუალება არ მისცეს.

შარაძე ადგილობრივ ხელისუფლებას მცხეთაში მიწების უკანონო გაყიდვაში ადანაშაულებს. როდესაც შარაძემ მცხეთის კულტურის სახლისკენ გადაინაცვლა და მას ფეხდაფეხ ხატიძე და მისი მომხრეები მიჰყვნენ, ორ პარლამენტარს შორის ხმამაღალი და ურთიერთშეურაცხმყოფელი სიტყვიერი კამათი გაიმართა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას არ ჩქარობს, თუმცა აცხადებს, რომ, როცა დაგეგმილი აქვს თანამდებობიდან ვინმეს გადაყენება, პრესით წინასწარ არ ახმაურებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამერიკულ კომპანია "ეი-ი-ეს"-ს რუსულ РАО ЕЭС-თან არალეგალური მოლაპარაკებების წარმოებაში ადანაშაულებს. რაც შეეხება ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის საკითხს, შევარდნაძის მტკიცებით, ეს გადაწყვეტილება სემეკ-მა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2003 წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში ქვეყანაში სამშენებლო საქმიანობას 462 ორგანიზაცია ახორციელებდა, რომლებმაც 105.600 ათასი ლარის სამუშაო შეასრულეს. ეს 2002 წლის ამავე პერიოდის მონაცემებზე 10,3 პროცენტით მეტია. ამავე პერიოდში მოსახლეობის სახსრებით აშენდა 236 საცხოვრებელი სახლი, აქედან დედაქალაქში - 61. მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, დედაქალაქში მოუწესრიგებელია სამშენებლო დარგის აღრიცხვიანობა, რის გამოც, მაღალია ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ურბანიზაციისა და მშენებლობის ახალმა მინისტრმა თემურ ჩარკვიანმა, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ყოფილი გენერალური დირექტორი გივი ვარდიაშვილი საკუთარ მოადგილედ დანიშნა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში „დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტისას დაშავებული დარეჯან კორსავას ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. კორსავას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა გადამყიდველმა ბოშებმა მიაყენეს. კონფლიქტის მიზეზი კორსავას მიერ მათგან შეძენილი წუნიანი ნივთის დაბრუნება გახდა. ამის შემდეგ დაპირისპირებამ ფართო მასშტაბი მიიღო. ხელჩართული ჩხუბის შემდეგ მოვაჭრეთა დახლებს ცეცხლი წაუკიდეს. პოლიციელებმა იმავე დღეს დააკავეს კონფლიქტის ორგანიზატორობაში ეჭვმიტანილი - საჩხერელი 23 წლის ვიტალი ცუხიშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქურდული ტრადიციების მატარებელი, ავტოტრანსპორტის გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის ლიდერი, 52 წლის გრიგოლ ქვათაძე, მეტსახელად „კურკა" პოლიციელებმა დააკავეს. მას ჩხრეკისას 6 გ ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა და ავტომანქანის თვითნაკეთი გასაღები აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უბედური შემთხვევა მოხდა თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე. ვალერი პრასოვის ბინაში სტუმრად ყოფნისას არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი 33 წლის ალექსანდრ მაკაროვი ბინის აივნიდან გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

ფაქტზე მოკვლევას აწარმოებს თბილისის ისან-სამგორის რაიონის პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში გასული კვირის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით სახანძრო შეტყობინების 64 შემთხვევა აღირიცხა. დაიწვა თორმეტი საცხოვრებელი ნაგებობა, ორი ავტოტრანსპორტი, ცხრამეტი სხვადასხვა სახის ობიექტი. ხანძრის დროს დამწვრობა მიიღო ერთმა ადამიანმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. სამართალდამცველებმა ფოთში, ნავსადგურის საკონტეინერო ტერმინალის ტერიტორიაზე კონტეინერიდან 75 ათასი ლარის ღირებულების 75 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი "მელნიკი" ამოიღეს. თუმცა, სამართალდამცველებმა ტვირთის ადრესატი ვერ აღმოაჩინეს. გარკვეულია მხოლოდ ის, რომ ტვირთი საბერძნეთიდან საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის წინ, 2002 წლის 15 აგვისტოს შემოუტანიათ, ხოლო გადაზიდვების სამუშაო შპს "სოფმარს" შეუსრულებია. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა რუსეთში, ვლადივასტოკის ოლქში დააკავეს მამია დევდარიანი, რომელიც ქუთაისის სამართალდამცველების მიერ იძებნებოდა. 36 წლის მამია დევდარიანი ქართველი სამართალდამცველების მიერ ყაჩაღური თავდასხმისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის იძებნებოდა. დევდარიანის საქართველოში ექსტრადიციისთვის საჭირო საბუთების მომზადება უკვე დაიწყო. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა კიდევ ერთი ძებნილი დააკავეს. მარტვილის რაიონის პოლიციას, ყაჩაღური თავდასხმის გამო, 5 წლის განმავლობაში ძებნა ჰქონდა გამოცხადებული რამაზ გაბისონიაზე. როგორც აღმოჩნდა, ის უკრაინაში, დონეცკის ოლქში იმყოფებოდა. ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა სწორედ იქ მოახერხეს მისი დაკავება. **ექსპრესი**

# მთავრობა რკინის კასრში

პირველი გვერდიდან

**რადგან სწორედ ეს უწყება და მისი ქვემდებარე სტრუქტურები არიან ბრალეულები შექმნილ ვითარებაში."**

თითქოს, ამას ელოდა ჯორბენაძე, რომელმაც სამოხელეო დანაშაულის ცნების დამკვიდრებასა და თანამდებობებიდან გათავისუფლების უკმარისობაზე ილაპარაკა. შემდეგ საკუთარ პროტეჟეს, საფინანსო "ცენტურიონ" ზაზა კახნიაურს **"მცირე მასშტაბის სამართალდარღვევებიდან დიდ მოცულობებზე სწრაფად გადასვლა"** ურჩია და წინამორბედების ბედი გაახსენა. სპეციალურად ფინანსთა მინისტრის გასაგონად კი თქვა, რომ სიგარეტისა და საწვავის მაგნატები, თურმე, მათ გარეშე არ მოძრაობენ.

საგადასახადო სამსახურის უფროსის იასე ზაუტაშვილის მოხსენება 6-10 აგვისტოს რეიდების შედეგებს ეხებოდა - რესტორნები რომ, დაახლოებით, სამჯერ ნაკლებ შემოსავალს აფორმებენ და, შესაბამისად, ამდენჯერვე ნაკლებს იხდიან ბიუჯეტში (არაუმეტეს 300-400 ათასი ლარი თვეში) და თითო რეგისტრირებული სამარშრუტო ტაქსიდან სახელმწიფო თვეში 18 ლარზე მეტს რომ არ იღებს ( ეს ინფორმაცია და ამ სექტორიდან რეალური თანხების ამოღება გოგიაშვილ-ზაუტაშვილს მეწვრილმანეობად მოუნათლეს). არადა, მასშტაბების მიხედვით, ძალოვანებიცა და ფინანსისტებიც ერთი რანგის ფაქტებზე საუბრობდნენ. მაგრამ, ალბათ, "გაშავების" აშკარა და დაუფარავმა მცდელობამ ფინანსთა მინისტრს ათქმევინა, რომ სწორედ ძალოვანი სტრუქტურები უშლიან ხელს მას კონკრეტული მსხვილი მაგნატების გამოვლენაში.



*მთავრობა მობილიზებას ცდილობს ფულის შესაგროვებლად - მაგრამ რისთვის, ბიუჯეტისთვის თუ არჩევნებისთვის?*

მისი უკმაყოფილება კიდევ უფრო მძაფრი გახდა, როდესაც ჭკუის სწავლება უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ და გენპროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ დაუწყეს. ბოლოს სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკის სხდომაზე წასასვლელმა ავთანდილ ჯორბენაძემ გოგიაშვილს ადგილობრივი საგადასახადო სამსახურების იმ ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მოსთხოვა, **"ვინც, თურმე, ჩვენი ბლოკისთვის საარჩევნო ფულს აგროვებს."**

ჩვენი მკითხველი სხვა ქვეყნის მცხოვრები რომ იყოს, ამ აბსურდს ფელეტონად დაწერდა ადამიანი.

სრული დამბლა გეცემა კაცს, როდესაც ანზორ ბალუაშვილი თელასის მრიცხველივით მოტრიალე თვალების მზერით მომავალ ორშაბათს საქართველოში მოქმედი ნავთობსახდელების მდგომარეობის მოსმენასა და ახვლედიანების კლანის ქარხნის - "გაორის" მუშაობაზე მათი უარყოფითი გავლენის შეფასებას მოითხოვს. ვალერი ხაბურძანია კი, რომელსაც სამარშრუტო ტაქსების შემოსავლები თითოეული მძღოლის დონეზე შეუსწავლია და ამ არგუმენტებით "შებმია" საგადასახადოს, აცხადებს, რომ მსხვილი კონტრაბანდისტებისა და მათი მფარველი მოხელეების დასახელება არც მისი საქმე ყოფილა.

ეს მთავრობა ვამპირების იმ ხროვას ჰგავს, რომლებსაც ნადირობა სპორტულ ჟინად ქცევიათ და ერთმანეთსაც არ ინდობენ. ისე, მათი დიდი ხნით რკინის კასრში ჩასმა უმრავლესობას ურიგო იდეად არ მოეჩვენება.

# დეპუტატები ბიუჯეტის კორექტირების პროექტს მხარს არ დაუჭერენ

*"2003 წლის ბიუჯეტის კორექტირების პროექტი" გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში განიხილეს. დეპუტატებმა პროექტს არარეალური და არარაციონალური უწოდეს, მთავრობის არგუმენტებს კი - უსუსური და არალოგიკური. პარლამენტარები მთავრობისგან არგუმენტირებულ პასუხებს ითხოვენ - რატომ დადგა დღის წესრიგში ბიუჯეტის კორექტირების საკითხი; რატომ ჩაიგდო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საარჩევნო წელს თავი ასეთ მძიმე მდგომარეობაში; ვინ არის დამნაშავე და ვინ უნდა აგოს პასუხი. უპასუხობის შემთხვევაში დეპუტატები მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტის ჩაგდებით იმუქრებიან. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კი იმედს გამოთქვამს, რომ, სავალუტო ფონდის მოთხოვნით, მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ ბიუჯეტის კორექტირების პროექტს დეპუტატები "მაღალი მოქალაქეობრივი და პატრიოტული შეგრძნებით მიუდგებიან".*

სოფიკო ოხანაშვილი

დეპუტატებმა "2003 წლის ბიუჯეტის კორექტირების პროექტი" მწვავედ გააკრიტიკეს. გიორხელიძემ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტელე-რადიო სიგნალების გამაძლიერებელი სადგურების რეაბილიტაციის ორმილიონიანი პროგრამის სეკვესტრში მოხვედრა გააპროტესტა და განაცხადა: **"ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რასაც ჩვენ არ დავუჭერთ მხარს."** მისი ვარაუდით, პროექტის განხილვა მკაცრი იქნება და ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს არგუმენტირებული პასუხების გაცემა. მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტის უარყოფითად შეფასების მიუხედავად, გიორხელიძემ ისიც აღნიშნა, რომ პროექტის ჩაგდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან საქართველოს მდგომარეობას გააუარესებს.

ბიუჯეტის სეკვესტრის შემოთავაზებული ვარიანტის მხარდაჭერაზე, ასევე, უარს აცხადებენ მაჟორიტარი დეპუტატები, მიზეზად კი რეგიონული ტრანსფერების 10 პროცენტით შემცირებას ასახელებენ.

განსაკუთრებული უკმაყოფილების მიზეზი მობილური ტელეფონებით სარგებლობაზე აქციზური გადასახადის შემოღებამ გამოიწვია, საიდანაც ხელისუფლება წლის ბოლომდე ოთხი მილიონი ლარის მიღებას ვარაუდობს. აღმასრულებელი ხელისუფლების წინადადებით, თვეში 10 ლარის ზემოთ საუბრები 10 პროცენტით უნდა დაიბეგროს.

მთავრობის ეს გადაწყვეტილება პარლამენტართა ერთმა ნაწილმა, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ აბაშიძემ და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინიტრმა მერაბ ადეიშვილმა გააპროტესტეს. ადეიშვილი ამ დარგის დაბეგვრის კატეგორიული წინააღმდეგია. მისი განცხადებით, მისთვის სრულიად გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა საგადასახადო კოდექსის ცვლილებათა პროექტში მობილურ ტელეფონებზე საუბრის დაბეგვრის პუნქტი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ საკითხზე ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებას მიაღწია. "მე ავუხსენი ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელებს, რომ ამ დარგის დაბეგვრა ქვეყნისთვის მხოლოდ წამგებიანი იქნება," - განაცხადა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა. მისი თქმით, მობილური ტელეფონებით სარგებლობაზე, ანუ იმ სფეროში, რომლიდანაც ბაზრის ლიბერლიზაციის შედეგად, წინა წელთან შედარებით, დამატებით 25 მილიონი ლარის მობილიზება მოხერხდა, აქციზის შემოღება **ძალიან ცუდ შედეგებს გამოიღებს.** ადეიშვილის თქმით, ყველაფერს გააკეთებს, რომ თავიდან აიცილოს მობილური ტელეფონების დაბეგვრის საშიშროება. მობილური ტელეფონების დაბეგვრას კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიაც ეწინააღმდეგება.

**"ასეთი გადაწყვეტილებით მთავრობა ხარაკირს იკეთებს. ადამიანი კამიკაძე უნდა იყო, რომ არჩევნების წინა ციბ-ცხელების პერიოდში ასეთი პროექტით გამოხვიდე,"** - ასეთი შეფასება მისცა მობილური ტელეფონების დაბეგვრის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებას ვახტანგ აბაშიძემ.

ფინანსთა სამინისტრო ბრალდებებს მხოლოდ ერთი არგუმენტით იგერიებდა - პარამეტრები საერთაშორისო სავლუტო ფონდთან შეთანხმებულია. თუმცა, არსებობს ოთხი საკითხი, რომლებთან დაკავშირებითაც სსფ-ს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრომ სავალუტო ფონდს ახსნა-განმარტებები გაუგზავნა და პასუხს დღეს ელოდება. მისი თქმით, სსფ-ს პრეტენზიები უმნიშვნელო გაუგებრობამ გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ფონდის ერთ-ერთი პრეტენზია "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" ირლანდიული კომპანიის მუშაობის გაგრძელებისთვის სამი მილიონი ლარის ოდენობის საჭირო თანადაფინანსების ბიუჯეტიდან გადახდას უკავშირდებოდა. გიგოლაშვილის თქმით, თანადაფინანსებისთვის საჭირო თანხის პრეზიდენტის ფონდში ჩარიცხვა მსოფლიო ბანკთანაა შეთანხმებული, ამიტომ ამ პუნქტმა სსფ-ს უკმაყოფილება არ უნდა გამოიწვიოს

# სახელისუფლებო საარჩევნო რესურსი - მითი და რეალობა

პირველი გვერდიდან

გარიგება საპარლამენტო არჩევნებში მათ, ალბათ, შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის საშუალებას მისცემს.

ოპოზიცია საარჩევნო კომისიის პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტების წესის გარდა, სხვა მოთხოვნებსაც აყენებდა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი კომისიებში მომუშავე ძველი შემადგენლობის დათხოვნა იყო. პარლამენტმა, ჯერჯერობით, არც ამ კუთხით გაითვალისწინა ბეიკერის "დანაბარები" და ისეთი შეზღუდვა არ დააკანონა. როგორც ჩანს, სახელისუფლებო ბლოკს საქმე არსებული კომისიების "გადარჩენისა" და აპრობირებული კორუფციული სქემების ძალაში დატოვებისკენ მიჰყავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბეიკერის ვარიანტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღებას 2 აგვისტომდე ითვალისწინებდა, რაც ვერ მოხერხდა. აღნიშნული ვადა პირველ რიგში გულისხმობდა ახალი საარჩევნო კომისების დროულად დაკომპლექტებას და დასავლეთის მხრიდან არჩევნების მოსამზადებელი პროგრამების მიღებას. ბეიკერის ვარიანტის ჩავარდნა კი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მთელი რიგი დახმარებების გამოყოფას ეჭვქვეშ აყენებს. სავარაუდოდ, შევარდნაძის ბლოკისთვის საარჩევნო პროცესებში დასავლეთის მხრიდან ნაკლები აქტიურობა ხელსაყრელი უნდა იყოს კიდეც. ამ შემთხვევაში იგი თავისუფლებას მიიღებს, რაც მას სახელისუფლო ბერკეტების ეფექტიანად ამოქმედების საშუალებას მისცემს.

### საარჩევნო მანქანა დაინგრა

1995 წელს "საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა" საპარლამენტო საარჩევნო დებიუტი ლოზუნგით - "მილიონი სამუშაო ადგილი" - დაიწყო. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ეს დაპირება სერიოზულად აღიქვა და მისი რელობაც ირწმუნა, რასაც პიარის ხაზით სერიოზულმა მუშაობამ შეუწყო ხელი. მასმედიის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით "მოქალქეთა კავშირის" ხელმძღვანელობამ ხელში აიღო მნიშვნელოვანი ბერკეტები, რასაც ერთნაირი წარმატებით იყენებდა როგორც არასასურველი სახელისუფლებო ჩინების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

"მოქალქეთა კავშირმა" დაარსებიდან ორიოდ წელიწადში შეძლო ისეთი საარჩევნო მექანიზმის შექმნა, რითაც შესაძლებელი გახადა როგორც პარტიული, ისე სახელისუფლებო სტრუქტურების პარალელურ რეჟიმში ჩართვა. მართვადი საარჩევნო კომისიების მხრიდან სასურველი გადაწყვეტილების მიღება ყველაზე ნაკლებ პრობლემას წარმოადგენდა. 1995 წელს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში " მოქალქეთა კავშირმა" პირველი გამოცდა ჩააბარა. ამ წარმატების მიზეზი კი არა წამოყენებული ლოზუნგები, არამედ სახელისუფლებო რესურსისა და პარტიული სტრუქტურებისგან შექმნილი საარჩევნო მანქანა იყო, რომლის ჩამოყალიბებაშიც მთავარი როლი სმკ-ის მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ შეასრულა.

"საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა" 1995 წლის შემდგომ გამართულ ადგილობრივ, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებშიც მოახერხა სასურველი შედეგის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის რეიტინგი ჩამორჩებოდა არჩევნებზე მიღებულ მაჩვენებლებს, სხვაობის "შევსება" სახელისუფლებო რესურსის ხარჯზე ხდებოდა. ამ პროცესში დიდ როლს ბიულეტენების გაყალბებაც ასრულებდა, რამაც თავის აპოგეას 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას მიაღწია. ქვეყნის პირველი პირის წინაშე თავის გამოჩენის მწველი სურვილით შეპყრობილმა ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა იმდენი მოახერხა, რომ საარჩევნო ოლქში მოქმედი პრეზიდენტის კომისიის წევრებს ამომრჩეველთა რაოდენობაზე გაცილებით მეტი დააფიქსირებინა. ზემდგომ ინსტანციებს კი დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ მიღებული შედეგი რეალურ მაჩვენებლებთან დაეახლოვებინათ.

გასულ წლებში " საქართველოს მოქალაქეთა კავშირში" წარმოქმნილმა შიდა დაპირისპირებამ და შემდგომში პარტიის რღვევამ ახალი ტენდენციები გამოკვეთა. იმ პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელიც საარჩევნო პროცესებში წარმმართველ როლს თამაშობდა, დატოვა პარტიის რიგები და ამით საფუძველი დაუდო სახელისუფლებო საარჩევნო მანქანის დაშლას. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, სადაც "მოქალქეთა კავშირმა" საქართველოს მასშტაბით ხმების 1,45 პროცენტი მიიღო, ამის ნათელი დადასტურება იყო.

### ხელისუფლებაში ორსკამიანობის სინდრომი გაჩნდა

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ ნანგრევებიდან შეკოწიწებული "მოქალქეთა კავშირი", ჯერჯერობით, ერთ-ერთ რიგით პარტიად რჩება. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მისი წარსული, დღევანდელი მდგომარეობა ან მისი პარლამენტში რამდენიმე ფრაქციად გახლეჩილი წარმომადგენლობა ხიბლავდეს, რომელთა ლიდერებს პარტიის თავმჯდომარე ბოლომდე ვერ აკონტროლებს. მემარცხენე რუსეთუმე ვახტანგ რჩეულიშვილმა და ჯერ კიდევ ეროვნული დატვირთვის მქონე მემარჯვენე ირინა სარიშვილმა სახელისუფლებო ბლოკში მისვლით ახალი სისხლის გადასხმის ნაცვლად "მოქალაქეთა კავშირის" ფერუმარილის როლი შეასრულეს. ეს კი ნახევრად აგონიაში მყოფი პარტიისთვის ბევრი ვერაფერი შეღავათია. მოსახლეობის მხრიდან ნდობის მნიშვნელოვანი დოზით დაკარგვის გარდა, სახელისუფლებო ბლოკს დამოკლეს მახვილივით ჰკიდია აღმასრულებელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანებები. ამიტომ შევერდნაძის ბლოკის მთავარ იმედად, სხვადასხვა არხებით მოზიდულ სოლიდურ ფინანსებთან ერთად, სახელისუფლებო რესურსის საარჩევნოდ ამოქმედება რჩება.

სავარაუდოა, რომ ხელისუფლება საარჩევნო მანქანის ძველი ფორმით აღდგენას არ შეეცდება. ამისათვის მას არც ძალა ეყოფა და არც რეალობა უწყობს ხელს. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა აღმასრულებელი ხელისუფლების პირამიდაში დიდი ხანია ორსკამიანობის სინდრომი გაჩნდა. მაღალი თანამდებობის პირებმა აქტიურად დაიწყეს ნიადაგის მოსინჯვა სხვადახვა პარტიებთან მომავალი თანამშრომლობისათვის, რათა პოსტშევარდნაძისეულ პერიოდში თამაშგარე მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ. ამიტომ, სავარაუდოა, რომ საარჩევნოდ ადგილობრივი ჩინები სახელისუფლებო ბლოკის წარმატებაზე მუშაობასთან ერთად სხვა პოლიტიკურ ძალებთნაც შეეცდებიან ქულების ჩაწერას.

სახელისუფლებო ბლოკი წინასაარჩევნოდ ახალი მეთოდების ძიებას იწყებს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, მისი ლიდერები აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ მაღალი რეიტინგის მქონე პარტიებთან და გარკვეული დახმარების თუ თანხის ფასად საკუთარი კანდიდატების შეყვანას სთავაზობენ. აღსანიშნავია, რომ რიგი პოლიტიკური პარტიები ასეთ წინადადებას გულგრილად ვერ უყურებენ.

სავარაუდოა, რომ ხელისუფლება საკუთარი საარჩევნო ბლოკის სუსტი პოზიციების გამო ხმების დაქსაქსვის ხერხსაც გამოიყენებს. ანუ იგი საკუთარი ბერკეტების ამოქმედებით შეეცდება, ამომრჩეველთა ხმები მაღალი რეიტინგის მქონე საარჩევნო სუბიექტებზე დაახლოებით თანაბრად გადაანაწილდეს. ამ მიმართულებით წარმატებული მუშაობა ხელისუფლებას მომავალ პარლამენტში მისაღები პოლიტიკური ბალანსის შექმნის საშუალებას მისცემს.

■ ■ ■

საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარებისათვის საკმარისი ნიადაგი ჯერ კიდევ არ არსებობს. მის შესაქმნელად, პირველ რიგში, სამი ძირითადი პირობა უნდა შესრულდეს - ადგილობრივ დონეზე სრული თვითმმართველობა, წამყვანი პოლიტიკური ძალებისთვის საარჩევნო კომისიებში თანაბარი პირობების შექმნა და პარტიების თუ სხვა საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნოდ გამოყენებული ფინანსების გამჭირვალობა (რაც თანხების გამოყენების გარკვეულ შეზღუდვასაც გულისხმობს). პირველი ორი პირობის შესრულების პერსპექტივამ უკვე პოსტშევარდნაძისეულ პერიოდში გადაინაცვლა. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების ფინანსების საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის დაკანონებას, ამ მხრივ არც პოზიცია და არც ოპოზიცია დიდ ინტერესს არ იჩენს. როგორც ჩანს, საქართველოში პოლიტიკას სუფთა ხელებით არავინ აკეთებს.

# სამართლიანი და სამართლებრივი ქვეყნისთვის

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, იურისტების ოფისში უახლოეს მომავალში სხვა პოლიტიკურ ლიდერებსაც ელიან. იმ ხალხთან, ვისთან საუბრის სურვილიც იურისტებს მათთვის მისაღები პრინციპების ერთგულების გამო ექნებათ. განათლებით იურისტ ბურჯანაძეს ეჭვიც არ შეპარვია, რომ თავის კოლეგებთან ენას ადვილად გამონახავდა. როგორც მან განაცხადა, სწორედ ამ ასოციაციის წარმომადგენლები (თინიკო ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი...) ეხმარებოდნენ რამდენიმე დღით ადრე გახმაურებული პროგრამის პრინციპების შემუშავებაში. პარლამენტის თავმჯდომარეს იმედი აქვს, რომ ახლა ეს ხალხი მას ამ პრინციპების განხორციელებაშიც დაეხმარება. მთავარი, როგორც ბურჯანაძის, ისე ახალგაზრდა იურისტებისათვის ის არის, რომ "ქვეყანა სამართლიანი და სამართლებრივი გახდეს". იურისტებმა საამისოდ, თავის მხრივ, "სამართლიანი სამართლის დასამკვიდრებელი ძირითადი პრინციპებიც" შეიმუშავეს. სწორედ ამ დოკუმენტის მონახაზს გააცნობენ ისინი სტუმრად დაპატიჟებულ პოლიტიკოსებს - როგორც დავით უსუფაშვილი განმარტავდა, რათა მათგან გარკვეული გარანტიები ჰქონდეთ, რომ მომავალში კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამენ.

**"კანონი ერთნაირად უნდა კანონობდეს როგორც რიგითი მოქალაქის, ისე მინისტრისთვის. კანონი კი არ უნდა ერგებოდეს პერსონებს, არამედ პერსონები, ჩვენ უნდა მოვერგოთ სისტემას"...** ნინო ბურჯანაძის ამ განცხადებას გუშინ ყველა ეთანხმებოდა, თუმცა, გაირკვა ისიც, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს საკანონმდებლო თვალსაზრისით მდგომარეობის გამოსწორების იმედი ამ მოწვევის პარლამენტში აღარ აქვს. **რატომ არ მოხერხდა საგადასახადო კოდექსის დახვეწა? უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი ხომ არ არის გასარკვევი?..** ამ და კიდევ სხვა მსგავსი კითხვებით "აწუხებდნენ" ახალგაზრდა იურისტები ბურჯანაძეს. ისიც ვითარებას განმარტავდა და დასძენდა, რომ როგორც საგადასახადო კოდექსში შესატანი, ისე საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტის მხრიდან მიღების სურვილი ბოლო დროს დიდად არც ჰქონდა. **"არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ისეთი კანონების, ცვლილებების მიღება არ მოხერხდებოდა, რომელიც რეალურად წაადგებოდა საქმეს. როგორც საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები, ისე სხვა კანონები მხოლოდ პოპულიზმის ან ვაჭრობის საგნად გადაიქცეოდა"...**

**"ძალზე ხშირად სწორი გადაწყვეტილებები არაპოპულარულია, მაგრამ ჩვენ უნდა შევძლოთ ასეთი ნაბიჯების გადადგმაც,"** - განაცხადა ბურჯანაძემ. ასეთ ნაბიჯად ახლგაზრდა იურისტებს იურიდიული განათლების სისტემის რეფორმაც მიაჩნიათ. მათი შეფასებით, სწორედ ამის შემდეგ ექნება აზრი უკვე ბევრ სხვა სტრუქტურაში რეფორმის ჩატარებას.

# საქართველოში ინვესტიციების ნაკადმა იკლო

მრეწველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელ პირობად არასახარბიელო საინვესტიციო გარემოს ასახელებს და ქვეყნის მთავრობისაგან სერიოზული ქმედითი ზომების გატარებასა და საგადასახადო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას მოითხოვს. როგორც გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად კვლავ საჭირო ფინანსების დეფიციტი რჩება, რისი გამოსწორებაც შესაძლებელია უცხოეთიდან მიღებული ინვესტიციებით.

მისივე ინფორმაციით, ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციების ოდენობამ 2003 წლის პირველ ნახევარში სულ 174,6 მილიონი ლარი შეადგინა, მათ შორის, უცხოური ინვესტიციები 23,1 მილიონი ლარია. წელს განხორციელებული ინვესტიციების დიდი წილი უკავია ევრობანკს — 13,5 მილიონი ლარი, შვეიცარიას — 3,9 მილიონი ლარი, ამერიკას — 3,4 მილიონი ლარი და მსოფლიო ბანკს — 1,8 მილიონი ლარი.

წლის დასაწყისში განხორციელებული ინვესტიციები, ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით, შემდეგნაირად განაწილდა: მშენებლობა — 13,5 მილიონი ლარი, სასტუმროები და რესტორნები — 3,4 მილიონი ლარი და სხვა სოციალური და პერსონალური მომსახურება — 4,2 მილიონი ლარი.

გიორგი გაჩეჩილაძეს მიაჩნია, რომ სერიოზული ძალისხმევა სჭირდება ქვეყანაში ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, რაც წარმატებით მომუშავე მეწარმეს ამონაგები თანხის რეინვესტირების ან მისი ახალ ინვესტიციებში დაბანდების შესაძლებლობას მისცემს. საინვესტიციო საქმიანობის ნაკლოვანებებზე საუბრისას ეკონომიკის მინისტრი ყურადღებას ამახვილებს არასრულ საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვიანობაზე, რაც კონტრაბანდის განვითარებას უწყობს ხელს. მისივე თქმით, საინვესტიციო სახსრების ნაკლებობის გამო, ბოლო დროს ექსპორტის სტრუქტურაში რამდენადმე იკლო მზა პროდუქციის ხვედრითმა წილმაც.

**მედია-ნიუსი**

# რუსეთის მოქალაქეებს გუანტანამოზე ყოფნა ურჩევნიათ

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
პრაღიდან, სპეციალურად
"24 საათისთვის"

*რამდენიმე დღეა, რუსეთი ცდილობს, გუანტანამოში ამერიკის საზღვაო-ქვეითთა ბაზაზე მყოფი რუსეთის მოქალაქეების ექსტრადირებას. ისინი თვის დროზე ავღანეთის ტერიტორიაზე დაატყვევეს.*
*მაგრამ ექსტრადირება, ალბათ, არ შედგება, რადგან ტყვეთა უმეტესობის მშობლები მოითხოვენ, რომ მათი შვილები ამერიკის სამხედრო ბაზაზე დარჩნენ, რადგან რუსეთში ტყვეებს აბუჩად აგდება და სამუდამო პატიმრობა ელოდებათ.*

გუანტანამოში მყოფ 6000 პატიმარს შორის, რვა რუსეთის მოქალაქეა: შამილ კაძიევი და რავილ გუმაროვი ბაშკირეთიდან არიან, რასულ კუდაევი და რუსლან ოდიგოვი - ყაბარდო-ბალყარეთიდან, რამინ მინგაზოვი და აირატ ვახიტოვი –თათრეთიდან, რუსტან აკმეროვი ჩელიაბინსკელია, ხოლო ტიმურ ისმურადოვი ტიუმენის ოლქიდანაა.

რადიო "თავისუფლების" ჩრდილოეთ კავკასიური სამსახური ორი ეჭვმიტანილის მშობელს ესაუბრა. ერთ-ერთი მათგანის, აირატ ვახიტოვის დედის, ამინა ჰასანოვას მონათხრობის მიხედვით ირკვევა, რომ მისი შვილი ჩეჩნეთში 1999 წელს ჩავიდა ისლამის შესასწავლად. ჩეჩენმა მებრძოლებმა რუსეთის ჯაშუშობა დააბრალეს და შეიპყრეს. ჩეჩენთა ტყვეობიდან აირატ ვახიტოვი რამდენიმე თვის შემდეგ გათავისუფლდა, მაგრამ თათრეთში დაბრუნების შემდეგ, უკვე რუსეთის სპეცსამსახურებმა მიიტანეს მასზე ეჭვი და მან ავღანეთში გაქცევით უშველა თავს.

**"იგი მწერდა, რომ მას კარგად ეპყრობოდნენ, ყუარდღებას აქცევდნენ, კარგად კვებავდნენ და სისუფთავეში ამყოფებდნენ. იგი ამბობდა, რომ ეს პირობები რუსეთის სანატორიუმებში არსებულზე უკეთესია,"** - ასე აღწერს მისი შვილის ამჟამინდელ მდგომარეობას გუანტანამოზე ამინა ჰასანოვა.

ყაბარდო-ბალყარელი რასულ კუდაევის დედის, ნინა ადიჟევას ნაამბობის მიხედვითაც, მის შვილს ავღანეთში წასვლა დევნამ აიძულა. აქტიური სასულიერო საქმიანობის გამო რუსეთში მას ძლიერ ავიწროვებდნენ. ამიტომ, გუანტანამოს ჰოსპიტალში მყოფი პატიმრის დედა შიშობს, რომ, ექსტრადირების შემთხვევაში, მის შვილს დევნა, წამება და სიკვდილი ემუქრება.

**"მე მივმართავ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას: არ გადასცეთ ჩემი შვილი რუსეთის ხელისუფლებას, რადგან იგი ავღანეთში 11 სექტემბრამდე ჩავიდა და არა ტერორისტი, არამედ საკუთარ სამშობლოში გადატანილი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლია. მე ასევე მივმართავ ევროკავშირის ქვეყნებს და ვთხოვ მათ, დაიცვან ჩემი შვილი და მისცენ მას პოლიტიკური თავშესაფარი, რათა რუსეთში დაბრუნების შემთხვევაში მისი სიცოცხლე დიდი საფრთხის ქვეშ დადგება,"** - აცხადებს ნინა ადიჟევა.

მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა თავისი მოქალაქეების ექსტრადირება მოახერხოს და ამ მიზნით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვიაჩესლავ ტრუბნიკოვი აგვისტოს დასაწყისში ესტუმრა ვაშინგტონს.

აღსანიშნავია, რომ გუანტანამოზე მყოფი პატიმრების გამო სხვადასხვა ქვეყნებიდან ისმის პროტესტის ხმა. მაგალითად, გუანტანამოში მყოფი ერთ- ერთი ბრიტანელი პატიმრის დედამ, ზუმრათი ჯუმამ, სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყო და უამბო პრესას, რომ მის შვილს, რომელიც 18 თვეა საპყრობილეშია, სიკვდილი ემუქრებოდა. ბრიტანელმა პროკურორმა, პეტერ გოლდსმიტმა მოლაპარაკებების შედეგად გასულ კვირას მიაღწია გარანტიებს ამერიკისგან, რომ ეჭვმიტანილები არ იქნებიან სიკვდილით დასჯილნი.

ცნობისთვის: "ამნესტის ინტერნეშენელმა" წლის დასაწყისში გამოაქვეყნა მიმართვა პრესისადმი, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები დადანაშაულებულია გუანტანამოელი პატიმრების უფლებების დარღვევაში, კერძოდ, ტყვეებს არ ეძლევათ ახლობლებთან და ადვოკატებთან შეხვედრის უფლება. მაგრამ პარადოქსია, რომ ასეთ ვითარებაშიც კი, რუსეთის მოქალაქეებს სამშობლოში დაბრუნებას, ისევ გუანტანამოში დარჩენა ურჩევნიათ.

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო". პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

## მთავრობა ჰუმანური უნდა იყოს

ნინო ესაკია
თბილისის მე-60 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

5 წლის ავადმყოფი ბავშვის ოჯახმა სახლი გაყიდა, რომ მისთვის ემკურნალათ. წაიყვანეს გერმანიაში, მაგრამ ის განუკურნებელი სენით იყო ავად და არ ეშველა. მშობლებმა ძალა ვერ იპოვეს საკუთარ თავში, ვერც ვერავინ დაეხმარა მათ, რომ ჭერი მაინც ჰქონოდათ და ქუჩაში არიან. კაცი გალოთდა, ქალი კი მათხოვრობს და ხან რომელ სადარბაზოში სძინავთ და ხან რომელში. რამე ხომ უნდა არსებობდეს დახმარების მაგვარი ავადმყოფისთვის, უბინაოსთვის, უმუშევარისთვის. მთავრობა ხომ ჰუმანური უნდა იყოს.

მთავრობა, თავისთავად, მაგრამ მათაც, ვისაც ბევრი ფული აქვთ, ხომ შეუძლიათ იზრუნონ სხვებზეც. ხომ იციან, ხედავენ ქვეყნად რამდენი უპატრონო, უსახლკარო, ულუკმაპურო, ავადმყოფი და უბედური ადამიანია.

ორმა მდიდარმა ადამიანმაც რომ მოინდომოს ეს, მერე სხვებიც აყვებიან. ისინი კი, როგორც ტელევიზორიდან გვესმის, საარჩევნო კამპანიებს ახარჯავენ ფულს.

ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, რომ ავაშენო დიდი ფერადი ლამაზი სახლი, სადაც წავიყვან უპატრონო ბავშვებს. გავაკეთებ ყველაფერს, რომ განათლებული და კეთილი ხალხი გამოვიყვანო.

იცხოვრებენ, გაიზრდებიან ამ სახლში. შემდეგ, მუშაობას რომ დაიწყებენ, შეძლებდნენ საკუთარი სახლების ყიდვას და გადავიდოდნენ.

ივლიან ყველგან: კონცერტებზე, გამოფენებზე. ეზოში დიდი აუზი იქნებოდა, მოედანიც, კორტებიც. ექნებოდათ ლამაზი ტანსაცმელი, გემოვნებით ჩავაცმევდი, არასდროს არ მოშივდებოდათ და საერთოდ... მე მათ უბედნიერეს ადამიანებად გავხდიდი.



## ეს ქვეყანა დიდი ორმოა

ნათია თაბაგარი
თბილისის 71-ე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

ეს ქვეყანა ჰგავს ერთ დიდ ორმოს, სადაც ხალხია ჩაყრილი და სადაც უჰაერობაა. გინდა ისუნთქო, მაგრამ არ შეგიძლია, რადგან ამ ორმოში შენზე ძლიერებიც არიან, ისინი მიფორთხავენ ზევით, ღრმად ჩაისუნთქავენ ჰაერს, მაგრამ შენ არ შეგიძლია ასე მოიქცე, რადგან შენ სუსტი ხარ. შენ გეშინია ხალხის, რომ რამეს დაგიშავებენ. შენ შექმნილი გაქვს შენი სამყარო, რომელიც სულაც არ არის ვარდისფერი, პირიქით. შენ უყურებ სამყაროს ისეთი თვალით, როგორიც ის სინამდვილეშია და არ გაქვს იმისი ძალა და იქნებ სურვილიც, რომ მას შეებრძოლო, შენ ეს არ შეგიძლია.

## ქართველები რომ ერთად იდგნენ...

თამუნა მეზონია
მე-60 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

ამოცანა გვეკითხება, რომელია ყველაზე მწვავე პრობლემა ამათგან:

კორუმპირებული მთავრობა, კრიმინალთა ძალმომრეობა, პროსტიტუცია, ნარკომანია, საზოგადოების უუნარობა.

ჩემი აზრით, პირველია კორუმპირებული მთავრობა და მგონი, სწორადაც ვფიქრობ. კარგად იცით, რომ ექიმთან მისულ ავადმყოფს ავადმყოფობის მიზეზის დადგენა და მორჩენა სჭირდება და და არა შედეგის. რა აზრი აქვს უკანონობის დევნას, თუ მისი სათავე ხელუხლებელი დარჩება. კონკრეტულად, არავის არ ვადანაშაულებ, მაგრამ პარლამენტის რამდენი წევრია მოსყიდული? მე ვიტყოდი, რომ, ალბათ, უმრავლესობა. მათ დიდი უფლება აქვთ, მაგრამ პასუხისმგებლობას მოვალეობის შესრულებაზე ვერ ვხედავ. ძნელია, რიგით მოქალაქეს მოსთხოვო პასუხი, როცა ხედავ მთავრობაში რა ხდება.

კრიმინალთა ძალმომრეობა, ჩემი აზრით, მეორე მწვავე პრობლემაა. გავიხსენოთ პიტერ შოუს გატაცება. კაცს ისე გტაცებენ, რომ პასუხს ვერავის მოსთხოვ და ამის შემდეგ საზღვარგარეთ საქართველო განგსტერების ქვეყნად ცხადდება და რეპუტაცია ელახება.

მესამე კი, საზოგადოების უუნარობაა. ადრეც ყოფილა საქართველო რთულ მდგომარეობაში, მაგრამ გამოსულა. დღევანდელ საზოგადოებას უბრალოდ ძალა და ნებისყოფა არ ყოფნის, რომ გაერთიანდეს და ერთად აღსდგეს უკანონობის წინაშე, აღარაა რწმენა და ერთობა. ქართველები რომ ერთად იყვნენ, მათ წინ ვერაფერი დაუდგებოდათ.

## იფიქრეთ ხალხზე

სალომე ქოლოკავა
მე-60 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

ჩემი აზრით, მათხოვრობა ყველაზე დიდი პრობლემაა. მათხოვრობა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია. მართალია, ეს პრობლემა მთელ მსოფლიოშია, მაგრამ, ბუნებრივია, მე ჩვენი უფრო მეტად მაწუხებს.

მთავრობა ყურადღებას არ აქცევს იმ ადამიანებს, რომლებსაც პურის ფულიც კი არა აქვთ. ასეთი ადამიანები დგანან და ითხოვენ დახმარებას. ეს მათთვის დამამცირებელია და მე ვფიქრობ, რომ უფრო დამამცირებელია მთავრობისთვის, რომელიც ამაზე პასუხისმგებლობას არ გრძნობს - კაცი იფიქრებს, რომ ისინი ადამიანები არ არიან.

ეკონომიკური კრიზისი მთელ მსოფლიოში განიხილება უპირველეს პრობლემად, რომლისგანაც მოდის ყველა სხვა პრობლემა. რა თქმა უნდა, ასე მომრავლებული მათხოვრობა და ყაჩაღობაც. რომელ ადამიანს უნდა, რომ იყოს ქურდი, მათხოვარი, ავადმყოფი... მთავრობის წევრებსაც ხომ არ უნდათ?!

ჰოდა, მე ასე მესმის, რაც შენი თავისთვის არ გინდა, ის სხვასაც უნდა აარიდო.

## ვინ იცავს მოქალაქის ჯანმრთელობას?

დეა ღარიბაშვილი
მე-60 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

უამრავი ადამიანია ქვეყანაზე, რომლებიც უსახსრობის გამო იღუპებიან. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც დაავადებულია ავადმყოფობით, რომელიც იკურნება, მაგრამ მას არა აქვს წამლის ფული და გარდაიცვალა. ვისი ბრალია? მე ვიცი რისი ბრალიცაა: სამუშაო არ ჰქონდა, ან დაბალი ხელფასი და იმასაც ვერ იღებდა, ირგვლივაც მასავით ღარიბი ხალხი ეხვია, უფასო მკურნალობა არ არის... აი, ეს ყველაფერი ვისი ბრალია, ნუთუ მთავრობის არა?

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ხომ არსებობს?

რა თქმა უნდა, ვიფიქრებ, რომ მთავრობის ადამიანები მარტო საკუთარ ჯიბეზე ზრუნავენ. ასეთი ადამიანი საქართველოში უამრავია.



# წერილები მთავრობას

## კომენტარი

მეორე წელია, რაც საქართველოს 20 სკოლაში მუშაობს სამოქალაქო განათლების შინაარსის პროექტი "კანონიერების კულტურა".მოსწავლეები ინტერაქტიული გაკვეთილებით იღებენ ცოდნას, რომლის უმთავრესი მიზანია ისწავლონ კანონის უზენაესობის პრინციპები - რა არის კანონი, რა მოვალეობას აკისრებს და რა უფლებებს ანიჭებს იგი მოქალაქეს; იძენენ ჩვევებს - შეამჩნიონ, დაინახონ და ანალიზი გაუკეთონ იმ სამყაროს, რომელიც მათ გარს აკრავს.

ამ პროგრამის მიხედვით, 2003 წლის მაისიდან გაზეთ "24 საათში", ფონდი "ღია საზოგადოება -საქართველოს" დაფინანსებით, ორ კვირაში ერთხელ იბეჭდება გვერდი "წერილები მთავრობას".

გაზეთის ჩანართის მიზანია, რომ მოზარდებმა რეალისტურად შეაფასონ საკუთარი თავი, როგორც მოქალაქეებმა, რომელთა ნებით და კანონის დაცვით ხელისუფლება უნდა მართავდეს ქვეყანას. მათ უნდა დაინახონ, რომ მოქალაქეს აქვს უფლება მოსთხოვოს მთავრობას იყოს კანონიერი, რისი პრაქტიკაც საქართველოში უმნიშვნელოა და სადაც ჯერ კიდევ მთავრობის პასუხისმგებლობა სამოქალაქო საზოგადოებაში მეორეხარისხოვან ფუნქციად ითვლება.

ჩანართში მოსწავლეების შეკითხვებთან და წერილებთან ერთად ქვეყნდება მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენელთა პასუხები და კომენტარები.

საგაზეთო ჩანართისათვის წერილების მოსამზადებლად მოსწავლეებს ეძლევათ მითითება, რომ დაწერონ ის, რაც საკუთარი თვალით დაუნახავთ, გაუგონიათ და შეუნიშნავთ, რაც მიაჩნიათ, რომ კანონსაწინააღმდეგოა, ნორმალური ცხოვრებისთვის შეუფერებელია და თვლიან, რომ გამოსწორება შესაძლებელია, თუ აღმასრულებლები ნებას გამოიჩენენ.

სასურველია, რომ მოსწავლეებმა თავი აარიდონ კონკრეტულად ვინმეს დადანაშაულებას და მხოლოდ ფაქტებითა და მსჯელობით გამოკვეთონ პრობლემა, რადგან გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საზოგადოების მოუმზადებლობის გამო ზოგჯერ ხდება მოსწავლეზე ზეწოლა და საჭიროა მათი დაზღვევა, რომ მოზარდებს სამოქალაქო ნიჰილიზმი არ განუვითარდეთ. ამგვარი შემთხვევა იყო 51-ე სკოლაში, როცა სკოლის დირექტორმა მერვეკლასელ ლევან მოსეშვილს ახსნა-განმარტებითი ბარათი დააწერინა მისი საგაზეთო წერილის გამო. იმედია, რომ ლევან მოსეშვილი სწავლას იმავე სკოლაში გააგრძელებს და საკუთარი აზრის გამოთქმის სხვა დროსაც არ მოერიდება.

საგაზეთო და სასკოლო ერთობლივმა სამუშაო პროცესმა დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანია, თუ მოსწავლეებს სასწავლო-საგაკვეთილო პროცესშივე განუვითარდებათ კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე და პირიქით აზროვნების უნარი.

მასწავლებლები ეცნობიან მოსწავლეების მიერ გაზეთის ჩანართისთვის მომზადებულ წერილებს, მაგრამ "ვიზირება" მათზე არ არის დამოკიდებული.

ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი ამ პროცესში არ მონაწილეობს - მისი აქტიურობა მოსწავლეების მიერ საკუთარი აზრის დამოუკიდებლად გადმოცემის პატივისცემაში მჟღავნდება.

ასევე, სკოლის დირექტორს ყოველთვის შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი და დამოკიდებულება გაზეთის ჩანართში და არა კონკრეტულ მოსწავლესთან პირადი თავისდამზღვევი დირექტივებით. არც დირექტორი არ უნდა გახდეს მოსწავლეების წერილების ცენზორი. სკოლაც უნდა გათავისუფლდეს და არ უფრთხოდეს თავისუფალ აზრს, არ ეშინოდეს, რომ მოსწავლე მათ რეპუტაციას შელახავს.

გაზეთის ჩანართში წარმოდგენილია პროგრამაში მონაწილე ყველა სკოლა; გათვალისწინებულია წერილებში დასმული პრობლემის აქტუალობა დროსა და სივრცეში; წარმოჩინდება ერთი თემის გარშემო სხვადასხვა კუთხით დანახული პრობლემა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დროთა განმავლობაში ყველა წერილი და პრობლემა მოხვდეს ჩანართში.

რაც შეეხება კომენტარებსა და პასუხებს, პირველ რიგში ყველა პრობლემასა და შეკითხვას მოეძებნება მასზე პასუხისმგებელი კონკრეტული ადრესატი და ეგზავნება მოსწავლის წერილი, უფრო ხშირად ადრესატი ვერტიკალის მიხედვით მაღლა შეირჩევა, რადგან წერილში დასმული კონკრეტული პრობლემა ხშირ შემთხვევაში არ არის ერთადერთი. ამას გარდა, ერთი პრობლემა, ზოგჯერ კომპლექსურია, რამდენიმე ადრესატი ჰყავს და პასუხიც შესაბამისი უნდა იყოს. წერილები იგზავნება ფოსტით, ელ. ფოსტით, ფაქსით.

მოპასუხეს თუ დამატებითი ინფორმაცია სჭირდება პროგრამისაგან, ის მას მიიღებს.

ასევე დანართშივე თავსდება ინფორმაცია შედეგის შესახებ. მაგ. 123-ე სკოლის მოსწავლეთა შეკითხვა-წინადადებას: "კარგი იქნება, თუ ყველა ფირმა, რომელიც შეფუთულ პროდუქციას უშვებს, თვითონვე იზრუნებს ნარჩენებზე, რომ ქალაქი არ დანაგვიანდეს", "შპს აისი-გურჯაანის ნაყინმა" გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებებით უპასუხა.

თუ ადრესატი წერილს არ უპასუხებს, რედაქცია ხელმეორედ აგზავნის შეკითხვას, იგებს მიზეზს და მიზეზის შესაბამისად მოქმედებს.

ვიდრე ჩანართი "პოპულარობას" მოიპოვებდეს და მოპასუხეები თავისით გამოეხმაურებიან, რედაქცია თავად უზრუნველყოფს წერილის ადრესატამდე მიტანას.

ჩანართში ამა თუ იმ წერილში დასმულ პრობლემასთან შესაბამისი კომენტარებიც იბეჭდება, მიუხედავად იმისა, ავტორი იყო თუ არა წინასწარ შერჩეული. ასევე, ჩანართში დაიბეჭდება გამოხმაურებები პროგრამის შესახებ.

კარგი იქნება, თუ წერილები კონკრეტულ ადრესატებთან ერთად საზოგადოების ყურადღებასაც მიიპყრობს.

რედაქცია მადლობას უხდის ხელისუფლების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც პასუხის გარეშე არ დატოვეს მოსწავლეების წერილები, მათ დაეხმარნენ სამოქალაქო შეგნების ჩამოყალიბებაში და დაუდასტურეს, რომ მთავრობა პასუხისმგებელია თითოეული მოქალაქის წინაშე.

**იუსტიციის სამინისტროდან** უპასუხეს შეკითხვას "როგორ გავხდე კანონიერი ქურდი".

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, **ნინო ჩხობაძემ** უპასუხა მოსწავლეთა წერილს, რომელშიც დასმული იყო ატმოსფერული ჰაერის, საყოფაცხოვრებო ნაგვის და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების პრობლემები.

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილემ, **გურამ გუგუნავამ** პასუხი გასცა მოსწავლეთა საგანგაშო წერილს, ზემო ვეძისის ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის წარმოქმნის საშიშროების შესახებ.

ორგანიზაცია "ბავშვი და გარემოს" ხელმძღვანელმა **ნანა იაშვილმა** უპასუხა ნინო მაისურაძის წერილს ქუჩის ბავშვების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ბავშვთა უფლებების საქალაქო ცენტრის ხელმძღვანელმა **ბელა სარიამ** და ცენტრის იურისტმა **ირაკლი არჯევანიძემ** შეფასება მისცეს 51-ე სკოლაში ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტს.

იგივე ფაქტი შეაფასა კონფლიქტოლოგმა **პაატა ზაქარეიშვილმა.**

უშიშროების მინისტრმა **ვალერი ხაბურძანიამ** უპასუხა შეკითხვას, თუ როგორ არის დაცული მოქალაქეების უშიშროება საქართველოში.

პარლამენტარმა ვახტანგ რჩეულიშვილმა უპასუხა შეკითხვას, თუ რატომ არ ისჯებიან პარლამენტარები კანონის დარღვევისათვის და როდის მორჩება "ცემა-ტყეპა" პარლამენტში.

**შინაგან საქმეთა სამინისტრო** გამოეხმაურა შეკითხვას "ვინ უნდა აღკვეთოს ჯიბის ქურდობა".

შეკითხვები გაგზავნილია და მოსწავლეები პასუხს ელიან:

პარლამენტის თავმჯდომარისგან, **ნინო ბურჯანაძისგან**;

პარლამენტარ **ზურაბ ჟვანიასგან**;

განათლების მინისტრისგან, **ალეკო კარტოზიასგან**;

ქალაქის მერისგან, **ვანო ზოდელავასგან;**

სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარისგან, **ვალერი ჩხეიძისგან**;

განათლების სამინისტროს ბავშვთა უფლებების დეპარტამენტის თავმჯდომარისგან, **მერაბ სანიკიძისგან;**

ქალაქის საგზაო პოლიციის უფროსისგან, **გია ბერაძისგან**;

გლდანი -ნაძალადევის გამგეობის თავმჯდომარისგან, **ირაკლი ქორიძისგან;**

დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის თავმჯდომარისგან, **გიორგი ჩაჩანიძისგან**.

**დაგვირეკეთ: 20-24-24 მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45,**
**ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა**

# მთიან ყარაბაღში ვითარება დაიძაბა

პირველი გვერდიდან

ანონიმი ოფიციალური პირის თქმით, თუ ახლანდელი ტენდენცია გაგრძელდა, 2003 წელს საზღვარზე დაღუპულთა რიცხვი სამჯერ გადააჭარბებს შარშანდელ მაჩვენებელს. 2002 წელს სასაზღვრო ინციდენტების შედეგად ორივე მხრიდან 20 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

ვითარების დაძაბვას სომხები აზერბაიჯანში პოლიტიკური არასტაბილურობით ხსნიან.

"ჩვენ გამუდმებით ვიმეორებთ, რომ აბსოლუტურად არა ვართ დაინტერესებული ახალი არეულობით, – განუცხადა IWPR-ს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვართან ოსკანიანმა, – ჩვენ კმაყოფილები ვართ სტატუს-კვოთი. ყველაფრის თავიდათავი აზერბაიჯანული მხარეა, ჩვენ კი იძულებული ვართ, მათ საკადრისი პასუხი გავცეთ."

აშოტ გულიანი, თვითმარქვია მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, აცხადებს, რომ აზერბაიჯანული მხარე სასაზღვრო პოსტებს კონტროლის ხაზთან ძალიან ახლოს სწევს. "მათ თავიანთი პოსტები ჩვენგან 35 მეტრში გადმოსწიეს, – აცხადებს იგი, – როდესაც მათ ღამ-ღამობით სანგრების თხრა დაიწყეს, ჩვენებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან გყავდეს მტერი 35 მეტრში, ეს იგივეა, რაც ლულა შუბლზე გქონდეს მიბჯენილი".

თავის მხრივ, აზერბაიჯანული მხარე დაძაბულობის ესკალაციაში სომხებს ადანაშაულებს. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვილაიათ გულიევმა, გაერო-ს მოუწოდა, შეთანხმების დარღვევისათვის სომხეთს პასუხი აგებინოს. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი რამიზ მელიქოვი ამბობს: "ომის განახლება ყოველთვის შესაძლებელია. ჩვენ ამას ერთი წუთითაც არ გამოვრიცხავთ. ჯარისკაცებს მობეზრდათ სანგრებში ჯდომა, ლტოლვილებს მობეზრდათ კარვებში ცხოვრება, ხალხი თავიანთი მიწების გათავისუფლებას ითხოვს."

მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანულ მას-მედიას სასაზღვრო ინციდენტებზე განსაკუთრებით არ გაუმახვილებია ყურადღება. პრესა მთლიანად საშინაო პოლიტიკის საკითხებითაა დაკავებული.

შეთანხმების დარღვევის ფაქტებმა, შესაძლოა, სერიოზული პრობლემა შეუქმნას საერთაშორისო მედიატორთა მცდელობას, სამშვიდობო პროცესი სრული კრახისაგან იხსნან. ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები აცხადებენ, რომ ისინი შეშფოთებულები არიან არსებული ვითარებით. "ჩვენ შეწუხებულნი ვართ იმით, რაც კონტროლის ხაზის გასწვრივ ხდება," – განუცხადა IWPR-ს მინსკის ჯგუფის ამერიკელმა თანათავმჯდომარემ რუდოლფ პერინამ. თუმცა, მან იმედი გამოთქვა, რომ ძალადობის ტალღა ნელ-ნელა გადაივლის და ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

"ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო მედიატორები რეგიონში ბევრს ყელში აქვს ამოსული. ჩვენ თვითონაც იმედგაცრუებულნი ვართ. მიმდინარე წელს რამდენჯერმე ვცადეთ რეგიონში ჩავსულიყავით, მაგრამ ყველასათვის მოსახერხებელი დრო ვერც ერთხელ ვერ ვიპოვეთ. არადა, თუ ჩავალთ, ჩვენ გვინდა, ყველა მხარეს ვეწვიოთ," - ამბობს პერინა.

საბოლოო ჯამში, ყარაბაღის მომავალი მაინც არა საერთაშორისო მედიატორების, არამედ ადგილობრივი პოლიტიკოსების ხელთაა.

"ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებამ ამდენ ხანს იმიტომ გაძლო, რომ არსებობდა პოლიტიკური ნება, – ამბობს ელჩი ანდრეი კასპრზიკი, ეუთო-ს თავმჯდომარის პირადი წარმომადგენელი კონფლიქტის ზონაში, – ჩემი ოფისი ხელს უწყობს შეთანხმების შენარჩუნებას და მოსალოდნელი საშიშროების შესახებ აფრთხილებს ორივე მხარეს, მაგრამ თუ პოლიტიკური ნება არ იქნა, ჩვენ ბევრს ვერაფერს გავხდებით".

# მოგზაურობა შუა აზიაში

სებასტიან ალისონი
როიტერი



მოგზაურმა წესით არ უნდა დაიჩივლოს, თუ ღამე ბუხარაში მოუწევს დარჩენა. ტურისტისათვის ეს ქალაქი, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესია ცენტრალურ აზიაში, ნამდვილი ოცნებაა.

მაგრამ, რაც არ უნდა ლამაზი იყოს ცისფერგუმბეთებიანი ბუხარა, იგი მაინც ცუდ ადგილასაა. და თუ თქვენ იქიდან სხვა ადგილას გინდათ მისვლა, მოგზაურობა შეიძლება უსასრულოდ დიდ ხანს გაგრძელდეს.

ერთი შეხედვით რა უნდა იყოს იმაზე ადვილი, ვიდრე ტაშკენტიდან მეზობელი სახელმწიფოს დედაქალაქში, აშხაბადში ჩასვლა? თითქოს, მხოლოდ ბილეთის აღება და აეროპორტში მისვლაა საჭირო.

არც ასეა საქმე. ამ ქალაქებს შორის კვირაში მხოლოდ ერთი რეისია, ისიც შუაღამისას და თუ თქვენ ეს დრო არ გაწყობთ, მაშინ სხვა გეგმის მოფიქრებაა საჭირო.

შეიძლება ტაშკენტიდან თურქმენეთის საზღვრის ახლოს მდებარე ქალაქ ბუხარაში გაფრენა. მეც სწორედ ეს გზა ავირჩიე, ზუსტად ისევე, როგორც კიდევ სამმა სხვა მგზავრმა, რომლებიც იმავე 34 ადგილიანი იაკ-40-ით მოფრინავდნენ.

ბუხარაში ღამის გათევის შემდეგ ტაქსით უნდა მიხვიდეთ უზბეკეთ-თურქმენეთის საზღვრამდე, სადაც ახალგაზრდა მოღუშული სახის უზბეკი ჯარისკაცები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ამ საზღვრის გადალახვა თქვენი ცხოვრების მტანჯველ მოგონებად იქცეს. შემდეგ, ჩემოდნებით დატვირთულმა ფეხით უნდა გაიაროთ ნეიტრალური ტერიტორია.

თურქმენეთის საზღვარზე კიდევ ერთ ტაქსს აიყვანთ, რომელიც ამუ-დარიას გავლით უახლოეს დიდ ქალაქში, თურქმენაბადში მიგიყვანთ. იქიდან, აშახაბადამდე თვითმფრინავი დაფრინავს.

თუმცა, ბოლო წამს ამ რეისზე ბილეთის შოვნა შეუძლებელი აღმოჩნდა. ავიარეისები წარმოუდგენლად სუბსიდირებულია. 600 კილომეტრიან რეისზე შავ ბაზარზე ბილეთი დოლარი და 75 ცენტი ღირს, ამიტომ თვითმფრინავები ყოველთვის სავსეა.

იძულებული ხარ ისევ იმ ერთადერთ ადამიანს მიმართო, რომელსაც იცნობ. ტაქსის მძღოლს. მას, რასაკვირველია, ჰყავს ბიძაშვილი, რომელსაც ჰყავს მეგობარი, რომლის მამასაც ჰყავს ნორმალური მანქანა, რომელიც აშხაბადამდე მიაღწევს. ცოტაოდენი დიპლომატია და შეთანხმებაც მიღწეულია. 8 საათიან მგზავრობაში 30 დოლარის გადახდაა საჭირო.

აშხაბადს შუაღამისას, ყარაყუმის უდაბნოს გადაკვეთის შემდეგ მივიაღწიეთ. ორ დედაქალაქს შორის მგზავრობას ორი დღე-ღამე დაჭირდა. რას იზამ, ჩვეულებრივი შუააზიური მგზავრობაა.

ყოფილი საბჭოთა შუააზიური ხუთი რესპუბლიკა, იგივე "სტანები", უზარმაზარ ტერიტორიას იკავებს. მარტო ყაზახეთი ხუთი საფრანგეთისოდენაა. ამხელა სივრცეში ერთი ადგილიდან მეორემდე მიღწევა შესაძლოა, ურთულესი ამოცანა აღმოჩნდეს.

ხუთივე დედაქალაქიდან მოსკოვამდე ყოველდღე დაფრინავს თვითმფრინავი, ამიტომ მოსკოვის გავლით წასვლა ერთი ქვეყნიდან მეორემდე მიღწევის ყველაზე იოლი გზაა. ტრანზიტის მეორე ვარიანტია სტამბოლი.

ძლიერი წარმოსახვა და მოთმინება აქაურ მოგზაურს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს.

აიღეთ, მაგალითად, ჩემი შარშანდელი მოგზაურობა ყაზახეთიდან საქართველოში.

ფრენა ალმა-ატიდან ატირაუმდე, ნავთობის ქალაქამდე, რომელიც კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, რამდენიმე საათით გადაიდო. მგზავრებს მთელი ღამის გათევა პატარა, გადაჭედილ აეროპორტში მოუხდათ.

აქედან აქტაუმდე მატარებლით მისვლას კიდევ 24 საათი დასჭირდა. თუმცა, მატარებელი, ისევე როგორც ბევრგან, ყოფილ საბჭოთა კავშირში, საკმაოდ სუფთა და კომფორტული აღმოჩნდა.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. აქტაუში კიდევ სამი დღე მოგვიწია იმ ბორნის ლოდინმა, რომელსაც ბაქოში უნდა წავეყვანეთ.

ბორანზე ყველაფერი იყო, გარდა კომფორტისა. მოგზაურობის დაწყებისთანავე ჩხუბი ატყდა და ოფიცერმა ვიღაც მგზავრს უმოწყალოდ სცემა. მომსახურება საშინელი იყო, საჭმელი – კიდევ უარესი.

ბორანი "მერკური 2", რომლითაც ვიმგზავრე, სულ მალე ჩაიძირა და კასპიის ფსკერზე 40 მგზავრი ჩაიყოლა.

ბაქოს დანახვისას მგზავრებმა შვებით ამოისუნთქეს. ზღვიდანვე ჩანდა კვიპაროსის ხეები და პარკები მოედნების გარშემო, შეუდარებელი გორაკები, რომლებიც ზღვაში ეშვება.

აქედან თბილისამდე მგზავრობა ასევე გრძელი და მტანჯველია, აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარი არაფრით სჯობს უზბეკეთ-თურქმენეთის გამყოფ ხაზს.

მაგრამ, თბილისში ჩასვლისთანავე მიხვდებით, რომ მუსულმანური ქვეყნების შემდეგ, სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდით, თავისი უნიკალური ქრისტიანული ეკლესიებითა და ვიწრო ქუჩებზე გადმოკიდებული აივნებით.

ყველგან, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში მგზავრობა შეიძლება ჯოჯოხეთური აღმოჩნდეს, მაგრამ ასეთ ქალაქებს, ზღვებსა და უდაბნოებს, მთებსა და ძეგლებს სხვაგან ვერსად ნახავთ.

ასე რომ, თუ სადმე ჩარჩით, იქნებ თქვენთვისვე იყოს უკეთესი.

# ნატო-მ ავღანეთში სამშვიდობო ოპერაცია დაიწყო

გუშინ ნატო ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოებისა და დახმარების ძალებს ჩაუდგა სათავეში. ალიანსის 54 წლიან ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ოპერაცია ევროპის საზღვრებს მიღმა ტარდება.

ნატო სამშვიდობო ოპერაციებს მხოლოდ ქაბულში განახორციელებს, მაგრამ დიპლომატების თქმით, როგორც კი ნატო ქალაქში პოზიციებს განიმტკიცებს, გაერო და არასამთავრობო ორგანიზაციები ალიანსის ხელმძღვანელობასა და წევრ სახელმწიფოებზე ზეწოლას გაზრდიან, რათა მათ სამშვიდობო ოპერაცია ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე განავრცონ.

გენერალ ნორბერ ვან ჰეისტის აზრით, რომელიც აქამდე ქაბულში დანიურ-გერმანულ სამშვიდობო ძალებს ხელმძღვანელობდა, დამატებით, სულ მცირე, 10 000 ჯარისკაცის გაგზავნა იქნება საჭირო ავღანეთში, რათა ნატო-მ სამშვიდობო ძალების ფუნქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით შეასრულოს. არადა, ნატო-ს წევრი სახელმწიფოები ამტკიცებენ, რომ მათი სამხედრო რესურსები ისედაც ძალზე ინტენსიურად გამოიყენება: ისინი სერიოზულ ფუნქციებს ასრულებენ ბალკანეთში, ხოლო ბრიტანეთს საკუთარი არმიის დიდი ნაწილი ერაყში ჰყავს გადასროლილი. ამდენად, მათ ავღანეთში გასაგზავნი ჯარისკაცები აღარ ჰყავთ.

ამჯერად, ქაბულში გაგზავნილი 5000 მშვიდობისმყოფელიდან 1900 ჯარისკაცი კანადელია, 1500 - გერმანელი, 550 - ფრანგი და 260 - ბრიტანელი. ამერიკამ ამ კონკრეტული მისიისათვის 110 ჯარისკაცი გამოყო. ამავდროულად, ქაბულს გარეთ ამერიკელებს 12 000 ჯარისკაცი ჰყავთ განლაგებული, რომელთაც ალ-ქაიდას წევრების წინააღმდეგ ბრძოლა ევალებათ.



*ნატო-ს ჯარისკაცი ქაბულში წესრიგს დაამყარებს.*

ნატო-ს მისია ქაბულში 18 თვეში დასრულდება. მათი ერთ-ერთი ფუნქცია ავღანეთის გარდამავალი მთავრობისათვის დახმარების გაწევა და ქაბულსა და მის შემოგარენში წესრიგის დამყარებაა.

გაერო-ს მანდატით წარმართული ნატო-ს ეს ოპერაცია ექვს თვეში ერთხელ მონაწილე სახელმწიფოების სამშვიდობო ძალების სხვებით ჩანაცვლებასაც გულისხმობს. ნატო-მ ამ მისიის უწყვეტობის ვალდებულებაც აიღო თავის თავზე.

"ნატო ახლა აბსოლუტურად განსხვავებულ გარემოში იმოქმედებს", - განაცხადა გენერალმა სერ ჯეკ დევერელმა, რომელიც მისიას უხელმძღვანელებს. "ნატო-მ ცივი ომის აზროვნების დაძლევა მოახერხა. ჩვენ ჩვენი მოქმედების ტრადიციული არეალის მიღმა ვართ, სადაც მოულოდნელობა გაცილებით მეტია. ეს ნამდვილი გამოწვევაა ჩვენთვის".

ამ კვირაში გერმანიის მთავრობა ავღანეთში მისიის გაფართოების შესაძლებლობას განიხილავს. გერმანიის თავდაცვის მინისტრის პიტერ შტრუკის აზრით, გერმანული სამშვიდობო ძალები, შესაძლოა, ჩრდილოეთის ქალაქ ყუნდუზშიც განლაგდნენ.

სავარაუდოდ, ქაბულს გარეთ ქალაქებსა და დაბებში ას-ას კაციანი დანაყოფები განლაგდებიან, რომლებიც წესრიგის დამყარებაზე იზრუნებენ. ამგვარი დანაყოფები უკვე ოთხ ქალაქში მოქმედებენ.

ცნობილია, რომ ავღანეთში გერმანიის არმიის აქტიურობას მხარს უჭერს კანცლერი გერჰარდ შრიოდერი. გერმანიის მიერ სამშვიდობო ოპერაციებში აქტიური როლის შესრულება, სავარაუდოდ, ამერიკა-გერმანიას შორის ერაყის ომის გამო დაძაბული ურთიერთობების გამოსწორებას შეუწყობს ხელს.


# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
# სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 4 - 8 აგვისტოს პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:**

**8 715,0 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 264.8 ათასი ლარი:**
■ **დისკონტი - 202.9 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 62.4 ათასი ლარი;**
**2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 330.0 ათასი ლარი:**
■ **საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 330.0 ათასი ლარი;**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 7 853.9 ათასი ლარი;**
**საგარეო ვალების მომსახურება (საქართველოს პრეზიდენტის 27 ივნისის N798 განკარგულების თანახმად თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება - ს.ს "ქართული შაქარი") - 2 000.0 ათასი ლარი;**
**საგარეო ვალდებულებების (თურქეთის კრედიტის) მომსახურება - 1 955.5 ათასი ლარი;**
**მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტის თანადაფინანსება - 980.0 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის თვის შრომის ანაზღაურება - 2 588.4 ათასი ლარი;**
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 800.0 ათასი ლარი;
■ თავდაცვის სამინისტრო - 1 788.4 ათასი ლარი;
**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამები - 130.0 ათასი ლარი;**
**საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 200.0 ათასი ლარი;**
■ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი (საქართველოს პრეზიდენტის 22.04.02 N449 განკარგულების თანახმად ჩოხატაურის რაიონში საავტომობილო ხიდის აღდგენის ხარჯები) - 200.0 ათასი ლარი;
**4 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 266.3 ათასი ლარი;**
**" სხვა საქონელი და მომსახურება" - 266.3 ათასი ლარი;**
■ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 4.5 ათასი ლარი;
■ საბიუჯეტო ორგანიზაციების კომუნალური (ელექტროენერგიის, წყლის და კავშირგაბმულობის) ხარჯები - 261.8 ათასი ლარი;
**სულ ხარჯი: 8 715.0 ათასი ლარი**
**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 264.8 ათასი ლარი:**
■ **დისკონტი - 202.9 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 62.4 ათასი ლარი;**
**2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 330.0 ათასი ლარი:**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 7 853.9 ათასი ლარი;**
**4 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 266.3 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 266.3 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**
**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**


# „იუკოსი" კრემლთან ბრძოლაში ჩაება


*მიხეილ ხოდორკოვსკი კრემლთან ბრძოლას აპირებს*

რუსეთის უმდიდრესი ადამიანი და ნავთობკომპანია "იუკოსის" შეფი მიხეილ ხოდორკოვსკი რუსეთის ლიბერალური ოპოზიციური პარტიებისათვის ფინანსური დახმარების გაზრდას გეგმავს. ეს, ფაქტობრივად, ხელისუფლების ბრძოლაში გამოწვევას ნიშნავს.

"იუკოსთან" დაახლოებულ წყაროებზე დაყრდნობით ბრიტანული "ფაინენშლ თაიმსი" იუწყება, რომ კომპანიაში მიმდინარე გამოძიების მიუხედავად, "იაბლოკოსთან" და "მემარჯვენე ძალთა გაერთიანებასთან" ხოდორკოვსკი ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს. "იუკოსში" მიმდინარე გამოძიების უკან ბევრმა კრემლის პოლიტიკური ინტერესები დაინახა.

აღსანიშნავია, რომ რუსი ჟურნალისტები ბოლო ხანს ხშირად ლაპარაკობენ, თითქოს, ხოდორკოვსკი კრემლთან გარკვეულ დათმობებზე წასვლას აპირებს. ამ დათმობების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი კი რუსეთში მთელი რიგი სოციალური პროგრამების დაფინანსებაა.

კრემლის მომხრე პარტიებმა დეკემბერში დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ კორუფციისა და ოლიგარქების წინააღმდეგ გალაშქრებით გადაწყვიტეს ქულების დაწერა. რუს ამომრჩევლებს 1990-იანი წლების დასაწყისში პრივატიზაციის შედეგად გამდიდრებული ოლიგარქები ძალზე არ უყვართ. ხოდორკოვსკი კი ერთ-ერთი მათგანია.

თავად ხოდორკოვსკიმ "იუკოსის" წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის რეალური მიზეზების შესახებ დუმილი არჩია. ახლა იგი საკუთარი პოლიტიკური დასაყრდენის შექმნით არის დაკავებული. ხოდორკოვსკი ცდილობს, რომ ორი მემარჯვენე ლიბერალური შეხედულებების პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობა მაქსიმალურად გაზარდოს რეგიონებშიც, სადაც მათ ტრადიციულად ნაკლები ამომრჩეველი ჰყავთ.

სხვა ოლიგარქებისაგან განსხვავებით, ხოდორკოვსკი კრემლს ღიად აკრიტიკებდა და არ მალავდა, რომ "იაბლოკოსა" და "მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას" უჭერს მხარს.

მიხეილ ხოდორკოვსკისაგან განსხვავებით, რუსეთის კიდევ ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა ბორის აბრამოვიჩმა, როგორც ჩანს, იფიქრა, რომ კრემლთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა და რუსეთში საკუთარი ქონების გაყიდვა დაიწყო. იგი საზღვარგარეთ აპირებს წასვლას. რით დასრულდება ხოდორკოვსკისა და კრემლს შორის დაწყებული ბრძოლა ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.

# ევროპა „იწვის"

პირველი გვერდიდან

მაღალმა ტემპერატურამ დასავლეთ ევროპაში ტყის ხანძრები გააჩინა. პორტუგალიაში, იტალიასა და საფრანგეთში მეხანძრეები ცეცხლის ჩაქრობას ვერ აუდიან.

ელექტროგენერაციის კომპანიებმა განაცხადეს, რომ ელექტროენერგიაზე გაზრდილ მოთხოვნას მდინარეებში წყლის დონის კატასტროფული კლება ერთვის თან, რაც ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. იტალიელებს უშუქოდ დარჩენა უკვე მოუწიათ.

კვირას დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა 38.1 გრადუსი ცელსიუსით დაფიქსირდა.

გვალვამ ყველაზე დიდი დარტყმა ფერმერებს მიაყენა, თუმცა, ლუდისა და ნაყინის მწარმოებლებმა არნახული შემოსავალი მიიღეს.

სინოპტიკოსებს კი ევროპელების დასამშვიდებელი პროგნოზის გაკეთება უჭირთ: სიცხეები კვლავ გაგრძელდება.

# გეოგრაფიული ფაქტორები აფრიკის ჩამორჩენილობას ხსნის

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ თუ ქვეყანას გააჩნია სანაპირო, რომლის სიახლოვეს მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს, მას განვითარების გაცილებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე - ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნებს.

ეს თეორია აფრიკის სიღარიბის მიზეზებს კარგად ხსნის. "აფრიკაში, სხვა კონტინენტებთან შედარებით, ყველაზე მეტ სახელმწიფოს არა აქვს გასასვლელი ზღვაზე, ამას გარდა, მათ უმრავლესობას მცირე რაოდენობის მოსახლეობა ჰყავს", - ნათქვამია გაერო-ს განვითარების პროგრამის მოხსენებაში.

2003 წლის მოხსენებაში გაერო-ს განვითარების პროგრამამ 1980-1998 წლებში ეკონომიკური განვითარების ტემპებზე მოსახლეობის რაოდენობისა და გეოგრაფიული მდებარეობის გავლენა შეაფასა.

პატარა ქვეყნებად მიჩნეულია ის სახელმწიფოები, რომლის მოსახლეობა 40 მილიონს არ აღემატება. ამავე მოხსენების თანახმად, ქვეყანას ჩიხური მდებარეობა აქვს, თუ მოსახლეობის სამი მეოთხედი სანაპიროდან 100 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს. მნიშვნელობა არ აქვს, თავად ამ სახელმწიფოს ზღვაზე გასასვლელი გააჩნია, თუ - არა.

"აღნიშნული პერიოდის განმავლობაში პატარა და ჩიხურმა სახელმწიფოებმა გაცილებით ნაკლებ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიეს", - აღნიშნულია მოხსენებაში.

"კვლევის შედეგები განსაკუთრებით კარგად მიესადაგება აფრიკას, სადაც 55 სახელმწიფოდან 33 პატარაა და ჩიხური მდებარეობა გააჩნია".

გეოგრაფიული მდებარეობის გავლენაზე რამდენიმე საუკუნის წინ თანამედროვე ეკონომიკის მამა ადამ სმიტიც წერდა. მას შემდეგ ამ საკითხზე მრავალი შრომა შეიქმნა.

"დასავლეთ ევროპაში არსებული თითზე ჩამოსათვლელი სახელმწიფოების გარდა თითქმის ყველა ჩიხური მდებარეობის მქონე სახელმწიფო ღარიბია. ევროპული სახელმწიფოები რეგიონულ ევროპულ ბაზარზე მჭიდროდ არიან ინტეგრირებულები", - განაცხადეს 1998 წელს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ცნობილმა მკვლევარებმა ლუკ გელაპმა და ჯეფრი საქსმა.

"მცირე მოცულობის შიდა ბაზრებისა (რასაც მცირე მოსახლეობა განაპირობებს) და მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელად არსებული სირთულეების გამო, ამგვარი სახელმწიფოები უცხოურ ინვესტიციებს ვერ იზიდავენ, რაც ეკონომიკის სხვადასხვა დარგის გასავითარებლად აუცილებელი პირობაა", - ნათქვამია მოხსენებაში.

მართალია, ქვეყანას საკუთარი გეოგრაფიული პირობების შეცვლა არ შეუძლია, მაგრამ გეოგრაფიული ფაქტორების გავლენის შემცირება შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სათანადო პოლიტიკის მეშვეობით. "რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში განხორციელებული ინვესტიციების მეშვეობით ამ ბარიერების დაძლევა შესაძლებელია", - განაცხადა გაერო-ს ექსპერტმა დევიდ სტიუარტმა.

გელაპისა და საქსის თქმით, ბოტსვანა არაევროპული, ჩიხური მდებარეობის მქონე ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა მილიონზე ოდნავ მეტია. ბოტსვანა აფრიკული სახელმწიფოს წარმატებულ მაგალითად ითვლება. მკვლევარების მტკიცებით, ეს კარგი მართვის შედეგია. როგორც რამდენიმე წლის წინ მიშელ კამდესიუმ განაცხადა, ერთადერთი, რაც ბოტსვანას აფრიკის სხვა ქვეყნებისაგან განარჩევს, "სამი წესიერი კაცია". მას მხედველობაში ჰყავდა ამ ქვეყნის ზედიზედ სამი პრეზიდენტი, რომელთაც ქვეყნის ძარცვის ნაცვლად, მის აღმშენებლობას მოჰკიდეს ხელი და ჩინებულ შედეგებსაც მიაღწიეს.

იმის მაგალითად, რომ არახელსაყრელი გეოგრაფიული ფაქტორების დაძლევა შეიძლება, ჩეხეთი მოჰყავთ. რუმინეთს ზღვაზე გასასვლელიც აქვს და გაცილებით მეტი მოსახლეობა ჰყავს, ვიდრე ზღვაზე გასასვლელის არქმონე ჩეხეთს. ამის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩეხეთი გაცილებით სწრაფად განვითარდა, ვიდრე - რუმინეთი.

გელაპი და საქსი ზღვაზე გასასვლელის არსებობისა და მოსახლეობის რაოდენობის გარდა, სხვა მაჩვენებლებზეც მიუთითებენ. მკვლევარებმა სხვადასხვა სახელმწიფოების და რეგიონების შემოსავლები ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი ჰავის მქონე რაიონებად დაყვეს.

მათი კვლევის თანახმად, ტროპიკულ სახელმწიფოებში საშუალო შემოსავალი 3191 ამერიკული დოლარია, სუბტროპიკულ ქვეყნებში - 7254, ხოლო ზომიერი ჰავის მქონე სახელმწიფოებში - 9296 ამერიკული დოლარი.

კალათბურთი

# პირველი ნაბიჯი ევროპისკენ

## საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს

სლოვაკეთში დამთავრდა ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი კალათბურთში. შეჯიბრებაში თავი ისახელეს ქართველმა ჭაბუკებმა, რომლებმაც ხუთ შეხვედრაში ოთხი გამარჯვება მოიპოვეს, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

კონტინენტის პირველობის შესარჩევი ეტაპი აპრილში გაიმართება, ხოლო ფინალურ ტურნირს იტალია უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრებმა, მანუჩარ მარკოიშვილის მეთაურობით, მთელი ტურნირი სტაბილურად ჩაატარა და დამაჯერებლად გამოიყურებოდა. "ფრანგ თანატოლებთან პირველსავე შეხვედრაში ქართველებმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს," - წერდა სლოვაკური პრესა და რომ არა მსაჯთა დაუდევრობა (მათ ჩვენს ბიჭებს ნაღდი ორი ქულა არ ჩაუთვალეს), არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ის მატჩი. თამაში ფრანგებმა - 75:73 მოიგეს.

ამის შემდეგ ქართველმა ჭაბუკებმა დაამტკიცეს, რომ მათზე კარგი გუნდი ჯგუფში არ არსებობდა. მათ ზედიზედ დაამარცხეს ლუქსემბურგის (104:60), მასპინძელი სლოვაკეთის (71:50), პოლონეთისა (85:66) და ბელგიის (85:64) ნაკრები გუნდები და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საგზური მოიპოვეს.

საქართველოს ნაკრები დღეს ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს, - ტურნირის შემდეგ აღიარეს კალათბურთის სპეციალისტებმა. ეს მოსაზრება ჟურნალისტებმაც გაიზიარეს და ჩვენს ჭაბუკებს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს. "საქართველოს ნაკრები ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებს, - ამბობენ ისინი, - ქართველები ძლიერად გამოიყურებიან დაცვაშიც და თავდასხმაშიც. ფიზიკურადაც კარგად არიან მომზადებულნი". საქართველოს ნაკრები სამშობლოში დღეს დაბრუნდება.

ფორმულა 1

# ძმა ძმისთვისაო - აღარ ჭრის

ბიბა ბურასაშვილი

ფორმულა 1-ში მოსვლამდე კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია მომავალ მეტოქეებს თავიდანვე აფრთხილებდა, - ჩემი სახით, სამეფო რბოლებს ძლიერი, კონკურენტუნარიანი მეტოქე შეემატებაო. მართლაც, მას შემდეგ, რაც კოლუმბიელი მრბოლელი "უილიამსის" ბოლიდის საჭეს მიუჯდა, ფორმულა 1-მა ძლიერი პილოტი შეიძინა. დასტური სახეზეა. მონტოიამ გერმანიის გრან-პრის "ჰოკენჰაიმის" ტრასა ყველაზე უკეთ მოიარა - მის საპატივცემულოდ მე-12 ეტაპის მასპინძლებმა კოლუმბიის ჰიმნიც ააჟღერეს. ახლა რა ხდება? საქმეს ისეთი პირი უჩანს, მონტოია ძმებ შუმახერებს ერთმანეთს წაჰკიდებს. ყოველ შემთხვევაში, კოლუმბიელის თანაგუნდელი რალფ შუმახერი პირობას დებს, -მონტოიას საკუთარ ძმასთან, "ფერარის" გერმანელ პილოტ მიხაელთან ორთაბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაუფლებაში ხელს შევუწყობო.

გერმანული პრესის თანახმად, უმცროსი შუმახერი მონტოიას დარჩენილ ოთხ - უნგრეთის, იტალიის, აშშ-ისა და იაპონიის ეტაპებზე მხარდაჭერას ჰპირდება.

"მე "BMW-უილიამსის" თანამშრომელი ვარ და საკუთარ თანაგუნდელსა და მეგობარს, საჭიროებისამებრ, უნდა დავეხმარო, თუ, რა თქმა უნდა, ამას სიტუაცია მოითხოვს. მზად ვარ, ტიტულისთვის ბრძოლაში საკუთარ ძმას მიხაელსაც კი შევუშალო ხელი," - აცხადებს რალფ შუმახერი.

ჩემპიონატის 12 ეტაპის ჯამში პირად ჩათვლაში რალფი მიხაელს 18 ქულით ჩამორჩება, მაშინ, როდესაც ლიდერ უფროს შუმახერსა და მონტოიას შორის სხვაობა 6 ქულაა. აღსანიშნავია, რომ საერთო ჩათვლაში წარმატების იმედი თავად რალფსაც აქვს, მაგრამ თუ დარჩენილ რბოლებში წარუმატებლად იასპარეზებს, მაშინ მონტოიას გამარჯვებებისთვის მოუწევს ბრძოლა. ერთი სიტყვით, რალფი მზადაა, საკუთარ ძმას მეექვსე ტიტულის დაუფლებაში შეუშალოს ხელი.

ამასობაში, გერმანული კონცერნის, BMW-ს ხელმძღვანელობაც, რომელიც "უილიამსის" საჯინიბოსთან თანამშრომლობს, მოითხოვს, რომ დარჩენილ რბოლებში მთელი ძალისხმევა კოლუმბიელის პირველობისკენ იყოს მიმართული. ამის შესახებ დაუფარავად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ჟურნალ Autosport-თან ინტერვიუში განაცხადა მოტორისტთა შეფმა მარიო ტეისენმა. ისე კი, შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში გუნდური ტაქტიკა აკრძალულია.

"უილიამსის" მმართველ დირექტორს, სემ მაიკლს საკუთარი პილოტების კვლავაც თანაბარ პირობებში ასპარეზობა სურს. მომდევნო გრან-პრიზე (უნგრეთის გრან-პრი, 23 აგვისტო) კოლუმბიელიც და გერმანელიც აღნიშნული სტრატეგიით გავლენ სტარტზე. თუმცა, არაა გამორიცხული, ბოლო ეტაპებზე საჯინიბოს სტრატეგია გადასახედიც გახდეს.

TV-სპორტი

## სამშაბათი. 12 აგვისტო

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ფულჰემი"
15:00 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
16:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი. "ბარსელონა" – "ჩელსი"
17:45 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 21-ე ტური
18:00 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "დეპორტივო" – "სელტა"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 ჰიტ-აღლუმი
21:55 ჩემპიონთა ლიგა. მესამე შესარჩევი წრე. პირდაპირი ტრანსლაცია
23:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "რეალი"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 20:00 პრეს-ცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 15:00 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
15:25 "რკინის ფაქტორი"
15:55 მძლეოსნობა. IAAF Golden League ბერლინში. შესვენებისას (17:00) პრეს-ცენტრი
18:15 საერთაშორისო რბოლა. "სანკტ პეტერბურგი-2003-ის 24 საათი"
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:00 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 "რკინის ფაქტორი"
00:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური საფრანგეთიდან
01:15 ახალი ამბები
01:30 კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი სანკტ პეტერბურგში. გუნდური ფინალები

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი
12:00 ექსტრემალური სპორტი
12:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
13:00 ფეხბურთი. სეზონის დასაწყისი
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. გრან-პრი გერმანიაში
15:30 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი დიდ ბრიტანეთში
17:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
18:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
20:00 ველორბოლა. ვუელტა
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. გრან-პრი გერმანიაში
22:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
23:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
02:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
02:30 ახალი ამბები
02:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:30 რალი რეიდი. მსოფლიო თასი ესპანეთში
03:45 მოტორბოლა
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# ფლორენტინო პერესი: „რონალდო მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია"

*მადრიდის "რეალის" აზიური ტურნე დასასრულს მიუახლოვდა. სამეფო კლუბი ამ წინასასეზონო სამზადისს წარმატებულად მიიჩნევს. ფეხბურთელები აღფრთოვანებულები დარჩნენ აზიელების თბილი მიღებით. კმაყოფილია პრეზიდენტი პერესიც, რომელმაც ესპანურ რადიო-სადგურ "CadenaSER"-ს ინტერვიუ მისცა და აზიური ტურნეს შთაბეჭდილებები გაუზიარა.*



*ფლორენტინო პერესი მუშაობის შედეგებს აჯამებს*

**- აზიის ტურნეში ხელმეორედ გამგზავრების სურვილი თუ გაქვთ?**

- კარგი ტურნე იყო. თუმცა, მე იქ დიდხანს არ ვყოფილვარ - მხოლოდ ერთი კვირა.

**- თქვენს ფეხბურთელებს დაღლილობა ხომ არ შეატყვეთ?**

- მართალი გითხრათ, არა. დღეს საღამოს მე მათ შევხვდი. ისინი კმაყოფილები და დამშვიდებულები არიან. ამ დროს ასეც უნდა იყოს. ვხედავ, რომ ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობენ.

**- ტურნესთან დაკავშირებით თქვენი დასკვნა დადებითია?**

- აზიაში მგზავრობისას ორი მიზანი გვქონდა – ერთი სპორტული, მეორე კი - ფინანსური. ვფიქრობ, ორივე ამოცანა შევასრულეთ და ძალიან კმაყოფილები ვართ.

**- როგორ მოგწონთ ბექჰემი, მას შემდეგ, რაც ის "საქმეში" იხილეთ?**

- ყველაფერი ისეა, როგორც ველოდი. "რეალის" შემადგენლობაში ის ბევრს ითამაშებს. ის უდიდესი ფეხბურთელია და შესანიშნავად შეერწყა ჩვენს გუნდს. მოხარული ვარ იმით, რომ ისიც კარგად გრძნობს თავს და კარგ თამაშს აჩვენებს.

**- თუ ის და რონალდო კარგად შეთამაშდებიან, მოწინააღმდეგე მცველებს შავ დღეს დააყრიან.**

- დიახ, ამას უკვე ვამჩნევ უკანასკნელ მატჩებში.

**- მგონი, თქვენ კმაყოფილი ხართ კარლოს კეიროშითაც.**

- მართალია. ის შესანიშნავად შეერწყა მადრიდის "რეალის" კულტურას. მისითაც ძალიან კმაყოფილები ვართ.

**- რა შეიძინა კეიროშის "რეალმა" ისეთი, რაც არ გააჩნდა დელ ბოსკეს "რეალს"?**

- ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მთლად შესაფერისი ადამიანი არ ვარ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კეიროში ყველა იმ იმედს ამართლებს, რასაც მასზე დირექტორთა საბჭო ამყარებდა.

**- იცით, რომ ვისენტე დელ ბოსკე ნაწყენია?**

- არა. ჩვენ დღითიდღე სულ უფრო ვშორდებით ერთმანეთს.

**- ის აცხადებს, რომ კლუბის ოფიციალურ პირთაგან სრულიად მივიწყებულია.**

- ის ყველას ისევ ძალიან გვიყვარს. მე ყველა მის გამონათქვამს პატივს ვცემ. არ მინდა, ამ თემაზე რაიმე კომენტარი გავაკეთო.

**- კეიროშის თქმით, "არ არის საჭირო, იყო მწვრთნელი, რათა "რეალში" ცენტრალური მცველების დეფიციტი შეამჩნიო". თქვენ სხვაგვარად ფიქრობთ?**

- ასეთი რამ არ მსმენია, ამიტომაც არაფრის თქმა არ შემიძლია. ეს საკითხი სპორტული დირექციის კომპეტენციაში შედის. მათ საკმარისი დამოუკიდებლობა აქვთ იმისათვის, რომ ეს საკითხები თავადვე მოაგვარონ.

**- მაგრამ, მილიტოს შეძენა თქვენც გინდოდათ. იქნებ რომელიმე სხვა მცველის გადმობირება სცადოთ.**

- შესაძლოა. ამას არ უარვყოფ.

**- ამბობენ, რომ კაპიტნის სამკლაურმა რაული შეცვალა.**

- ის პირველი კაპიტანია და ეს შესამჩნევია. რაულმა კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა იკისრა. მისი ქცევა სამაგალითოა.

**- ეს ის კაპიტანია, როგორიც გსურდათ?**

- ის შინაური კაპიტანია, რომელიც იცნობს მადრიდის "რეალის" კულტურას და იცის, რომ კლუბი უმთავრესია.

**- რონალდო გახდა?**

- იძულებულები ვართ, მისი წონის შესახებ საუბრები ჩვენც ვისმინოთ. არადა, კვლავინდებურად ვხედავთ რონალდოს გოლებს, ისევე, როგორც უკანასკნელ სეზონში. ის მსოფლიოს საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელია.

**- ამბობენ, რომ აბრამოვიჩი რონალდოს "ჩელსიში" გადაბირებას ცდილობდა...**

- ეს არ არის მართალი - არც რონალდოზე და არც რომელიმე სხვა ფეხბურთელზე წინადადება არ მიგვიღია.

### წლევანდელ ზაფხულში "რეალის" მიერ განხორციელებული ყველა ტრანსფერი

#### გუნდიდან წავიდნენ:

| ფეხბურთელი | ქვეყანა | ახალი კლუბი | სატრანსფერო თანხა |
|---|---|---|---|
| ფერნანდო იერო | ესპანეთი | - | კონტრაქტი დაუსრულდა |
| ვალმირო ვალდო | ესპანეთი | "ოსასუნა" | 1,5 მილიონი ევრო |
| ჯერემი ნჯიტაპი | კამერუნი | "ჩელსი" | 10 მილიონი ევრო |
| ლუის გარსია | ესპანეთი | "მურსია" | - |
| ხულიო ალვარესი | ესპანეთი | "მურსია" | - |
| სავიო | ბრაზილია | "სარაგოსა" | კონტრაქტი დაუსრულდა |
| ხორხე ლოპეს ტოტე | ესპანეთი | "ბეტისი" | კონტრაქტი დაუსრულდა |
| ფლავიო კონსეისაო | ბრაზილია | "დორტმუნდი" | იჯარა 1 წლით |
| დავიდ აგანსო | ესპანეთი | "ლევანტე" | კონტრაქტი დაუსრულდა |
| ედვინ კონგო | კოლუმბია | "ლევანტე" | კონტრაქტი დაუსრულდა |
| როდრიგო ფაბრი | ბრაზილია | "ატლეტიკო" | კონტრაქტი დაუსრულდა |
| სეზარ ნავასი | ესპანეთი | "მალაგა-ბ" | - |

#### გუნდში მოვიდნენ:

| ფეხბურთელი | ქვეყანა | ყოფილი კლუბი | სატრანსფერო თანხა |
|---|---|---|---|
| დევიდ ბექჰემი | ინგლისი | "მანჩესტერი" | 25 მილიონი ევრო |
| პედრო მუნიტისი | ესპანეთი | "სანტანდერი" | იჯარის ვადა ამოიწურა |
| ხავიერ დორადო | ესპანეთი | "რაიო ვალეკანო" | იჯარის ვადა ამოიწურა |
| ივან კამპო | ესპანეთი | "ბოლტონი" | იჯარის ვადა ამოიწურა |
| ჟულიო სეზარი | ბრაზილია | "რაპიდი" | იჯარის ვადა ამოიწურა |
| რუბენ გონსალესი | ესპანეთი | "რეალი-ბ" | - |
| სებასტიან მოიანო | ესპანეთი | "კორდობა" | 1,5 მილიონი ევრო |

**ტრანსფერზე არიან:** სეზარ სანჩესი, სტივ მაკმანამანი, ესტებან კამბიასო, სანტიაგო სოლარი, ალბერტ სელადესი, ოსკარ მინიამბრესი, ფერნანდო მორიენტესი, პედრო მუნიტისი, რაულ ბრავო, ჟულიო სეზარი.

ჩოგბურთი

# როდიკმა მასტერსი მოიგო

ამერიკელი ენდი როდიკის გამარჯვებით დასრულდა მასტერსის სერიის ტურნირი კანადის ქალაქ მონრეალში. ტურნირის საპრიზო ფონდი 2 მილიონ 450 ათასი დოლარი იყო. ამერიკელმა შეჯიბრება ისე მოიგო, ოფლიც არ გამოსვლია. "ასეთ იოლ გამარჯვებას ენდი როდიკს არავინ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ენდი თამაშს დღითი-დღე აუმჯობესებს და მისი ყურება სასიამოვნოა," - ამბობს ამბიციური აგასი, რომელიც დისტანციას მეოთხედფინალიდან ჩამოსცილდა.

გადამწყვეტ, ფინალურ შეხვედრაში კი ენდი როდიკი არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს შეხვდა. ფინალი არც ისე საინტერესო გამოდგა. როდიკის უპირატესობა ძალიან დიდი იყო. ამერიკელი უაღრესად იოლად იგებდა თავის მოწოდებებს და საბოლოოდ - 6:1, 6:3 მოიგო. საგულისხმოა, რომ ფინალი ძალიან სწრაფად დასრულდა. შეხვედრას, თითქმის, ერთი საათი დასჭირდა.

"ჯერჯერობით ეს ყველაზე შთამბეჭდავი ტიტულია, რომლის მოგებაც შევძელი," - გამარჯვების შემდეგ განაცხადა კმაყოფილმა ამერიკელმა, - ვიმედოვნებ, რომ ეს წარმატება გახდება პირველი საფეხური ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვებისთვის".

"ენდის გამარჯვების მოსაპოვებლად, ფაქტობრივად, დიდი ძალისხმევაც არ დასჭირდა. მე თამაში აშკარად არ გამომივიდა," - ეს სიტყვები კი იმედგაცრუებულ ნალბანდიანს ეკუთვნის.



*მასტერსის სერიის გამარჯვებული ენდი როდიკი*



REUTERS

*კლიისტერსმა სერენა უილიამსის ჰეგემონია დაამხო*

საინტერესოა, რომ მატჩის დასაწყისი ნახევარი საათით გადაიტანეს. მიზეზი, როგორც ხდება ხოლმე, კოკისპირული წვიმა იყო, რომელიც კვებეკის ყველაზე დიდ ქალაქს დაატყდა თავს. წვიმას არც თამაშის მსვლელობისას გადაუღია, რის გამოც, შეხვედრა მცირე შესვენებებით მიმდინარეობდა.

გუშინ გამოქვეყნდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი. ქალთა შორის ერთი წლის შემდეგ პირველად შეიცვალა ლიდერი. ამიერიდან პირველ საფეხურზე, ამერიკელი სერენა უილიამსის ნაცვლად, ბელგიელი კიმ კლიისტერსი დამკვიდრდა. არადა, სულ ახლახან უმცროსი უილიამსის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მას ერთი საფეხურით ჩამოქვეითება მოუხდა. კალიფორნიის ტურნირზე გამარჯვებამ კიმ კლიისტერსს საშუალება მისცა, არამარტო გადაესწრო სერენასთვის, არამედ 44 ქულითაც დაწინაურებულიყო.

კლიისტერსი წლევანდელ სეზონში, მართლაც, შთამბეჭდავად გამოიყურება. თუმცა, აწ უკვე მსოფლიოს პირველ ჩოგანს ჯერ "დიდი სლემის" არც ერთი ტურნირი არ მოუგია. წელს კლიისტერსს პარიზში ჰქონდა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მოგების შანსი, მაგრამ მაშინ მას თანამემამულე ჟიუსტინ ენინი გადაეღობა.

მამაკაცთა თანრიგს რაც შეეხება, აქ შვეიცარიელი როჟე ფედერერი ლიდერობს, რომელიც ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს უსწრებს. მონრეალის ტურნირის გამარჯვებული ენდი როდიკი მე-5 პოზიციაზეა.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" ფრანგმა მცველმა მარსელ დესაიმ კლუბთან ერთი წლით გაიხანგრძლივა კონტრაქტი. ადრე აღნიშნავდნენ, რომ ახალი ხელმძღვანელობა ფეხბურთელის გაყიდვას აპირებდა. თუმცა, ლონდონში გადაწყვიტეს, რომ მარსელი კლუბს კიდევ გამოადგებოდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი კევინ კიგანი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახლახან მან ტრანსფერზე დააყენა ებრაელი ლეგიონერი ბერკოვიჩი, მაგრამ "ბარსელონასთან" შეხვედრაში სწორედ ბერკოვიჩმა გაიტანა ორი გოლი, რამაც ინგლისელებს გამარჯვება მოაპოვებინა - 2:1. "ახლა მე თავის ჭკუეტა მომიწევს იმაზე, თუ რა მოვუხერხო ბერკოვიჩს, - ამბობს კიგანი, - ის იმსახურებს, რომ კიდევ ერთი შანსი მივცეთ. თუ მომავალშიც კარგად გაირჯება, კლუბში დავტოვებთ".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის "მალიორკას" კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტო`ო, ორი ინგლისური გრანდის ყურადღების ქვეშ მოექცა. ამ ფეხბურთელზე პრეტენზიას აცხადებენ "ჩელსი", რომელიც კამერუნელის შეძენას ჰასელბაინკის გაყიდვის შემდეგ აპირებს და "არსენალი", რომელიც მზად არის, მოლაპარაკებები სასწრაფოდ დაიწყოს. "მეთოფეები" მზად არიან, ეტო`ს სანაცვლოდ, ესპანეთის გზას ფრანგი ფორვარდი სილვენ ვილტორი გაუყენონ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** აზიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ერაყის ნაკრებს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აზიის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. შესარჩევი ეტაპის მატჩები მალაიზიაში ოქტომბერში გაიმართება. იქ ერაყის ნაკრების მეტოქეები იქნებიან - მალაიზიის, ბახრეინისა და მიანმის გუნდები. ამას გარდა, ერაყელთა გეგმებშია ავსტრალიის ნაკრების წინააღმდეგ ორი ამხანაგური შეხვედრა, რომელიც სექტემბრის თვეში უნდა გაიმართოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ლეგენდა ჯორჯ ბესტი აცხადებს, რომ მზად არის, გაყიდოს ყველა ტიტული, რომელიც 60-იან წლებში "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად მოიგო. სპორტსმენს, რომელიც 30 წლის განმავლობაში ებრძვის ლოთობას, ფული სჭირდება. მიღებული თანხით ბესტი საბერძნეთის კუნძულზე პატარა სახლის შეძენას აპირებს, სადაც ცოლ-შვილთან ერთად იცხოვრებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში ლონდონის "არსენალის" შვედმა ლეგიონერმა ფრედერიკ იუნგბერგმა მხარი დაიზიანა, რის გამოც, მან, შესაძლოა, ინგლისური პრემიერლიგის სასტარტო მატჩი გამოტოვოს. ფეხბურთელის თქმით, ექიმები არ იძლევიან არავითარ გარანტიას, შეძლებს თუ არა იგი ლივერპულის "ევერტონის" წინააღმდეგ თამაშს.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** მარია მუტოლა ერთადერთი სპორტსმენია, რომელსაც შანსი აქვს, მძლეოსნობის ოქროს ლიგა მოიგოს. ბერლინის ტურნირში მან 800-მეტრიან დისტანციაზე გარბენი მოიგო. ახლა მოზამბიკელს ორი დისტანციაღა დარჩა მოსაგები და ის ჯეკპოტს მოხსნის. გერმანიის დედაქალაქში "ოქროს პრიზის" მოგების იმედს ჩანდრა სტერაპი დაემშვიდობა, რომელმაც 100 მეტრზე გარბენი კელი უაიტს დაუთმო.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** დორტმუნდში დასრულდა ტრადიციული, მე-19 კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირი. მსოფლიო ჭადრაკის სამ აღიარებულ ლიდერს - ვლადიმირ კრამნიკს, ვიშვანათან ანანდსა და პეტერ ლეკოს წინააღმდეგობას უწევდნენ ვიორელ ბოლოგანი, ტეიმურ რაჯაბოვი და არკადი ნაიდიჩი. უკანასკნელ მე-10 ტურში სატურნირო ცხრილში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. სამივე პარტია ყაიმით დასრულდა. კრამნიკმა, რომელსაც ბოლოგანის დამარცხების შემდეგ ტურნირზე პირველი ადგილის დაკავება შეეძლო, დასახულ ამოცანას თავი ვერ გაართვა. ამრიგად, მოლდოველმა დიდოსტატმა ვიორელ ბოლოგანმა 10 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე-მესამე ადგილები 5,5-5,5 ქულით ვიშვანათან ანანდმა და ვლადიმირ კრამნიკმა გაიყვეს. პრიზიორებს ნახევარი ქულით ჩამორჩა აზერბაიჯანელი ტეიმურ რაჯაბოვი, რომელიც მეოთხე ადგილზე გავიდა. მეხუთე იყო უნგრელი პეტერ ლეკო, ხოლო ბოლო, მეექვსე ადგილი გერმანელ არკადი ნაიდიჩს ერგო.



ამბები

## ცენზურა არ გამოვიდა



ხანგრძლივი დებატების შემდეგ, მალაიზიის სახელმწიფო ცენზორებმა დართეს ნება მოსახლეობას აჩვენონ ახალი ფილმი "ყოვლისშემძლე ბრიუსი" (Bruce Almighty), ჯიმ ქერის მონაწილეობით. შეგახსენებთ, ფილმის ჩვენება რელიგიური მოსაზრებებით აქამდე აკრძალული იყო.

"ყოვლისშემძლე ბრიუსის" პრემიერა მალაიზიის კინოეკრანებზე წინა კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ ისლამის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ნება არ დართო. მათი უკმაყოფილება კი გამოწვეულია ფილმის ერთი პასაჟის გამო: როდესაც ჯიმ ქერის გმირი ღმერთისგან მიღებს სრულ უფლებამოსილებას. "ჩვენ არ შეგვიძლია ღმერთს შევედაროთ თუნდაც ხუმრობით", - განაცხადა მინისტრმა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ფილმს მალაიზიის მცხოვრებნი მაინც იხილავენ.

## "ჩხიკვთა ქორწილს" მოსკოვში დადგამენ

მუსიკალურ-საცირკო რევიუს "ჩხიკვთა ქორწილის" პრემიერა მოსკოვში დიდი ცირკის არენაზე სექტემბერში გაიმართება. პროექტზე კინო და ტელერეჟისორი ევგენი გინზბურგი, მოსკოვის ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი ლეონიდ კოსტიუკი, კომპოზიტორი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი ალექსანდრე ბასილაია, მთარგმნელი და ტექსტების ავტორი მიხეილ ტანიჩი, დამდგმელი-მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილი და თეატრ "სატირიკონის" წამყვანი ქორეოგრაფი ვალერი არხიპოვი მუშაობენ. **პრაიმ-ნიუსი**

## კომპიუტერული რაგბი INXS-ის ფონზე

განახლებული INXS-ის (რომლის ახალი ვოკალისტი ჯონ სტივენსია) სიმღერა კომპიუტერული თამაშის EA Sports Rugby 2004-ის თანმხლებ მუსიკად გაიჟღერებს. ამავე დროს, სიმღერა I Get Up ჯგუფის პირველი ჩანაწერია, რომელიც მაიკლ ჰატჩინსის სიკვდილის შემდეგ გაკეთდა.

"ჩანაწერის გავრცელების ასეთი მეთოდი მეტად საინტერესოდ გვეჩვენა. ეს აბსოლუტურად ახალი მარკეტინგული მოდელია. მუსიკალური ინდუსტრია მეტად სწრაფად ვითარდება და ჩვენც შევეცდებით არ ჩამოვრჩეთ მოვლენებს", - ამბობს ავსტრალიური ჯგუფის წარმომადგენელი დევიდ ედვარდსი.

ვირტუალური თამაშის გარდა, სიმღერა მალე მობილური ტელეფონების მელოდიებს შორისაც გამოჩნდება. რაც შეეხება ავსტრალიაში რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის თამაშს, ის გაყიდვაში 10 სექტემბრიდან გამოვა. ასე რომ, INXS-ის ძველ თაყვანისმცემლებს, ვისაც აინტერესებს განახლებული ჯგუფის მოსმენა, მშვენიერი შანსი გამოუჩნდათ.

## მუსიკალური პრეტენდენტები

ნიუ იორკში ნამდვილად ჯილდოების წვიმა წამოვა. ასეთ პროგნოზს აკეთებენ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ "რეიდიოჰედსა" და "ქოლდფლეის" MTV-ის მუსიკალური კლიპების დაჯილდოების ცერემონიაზე პრიზებს გადასცემენ.

"რეიდიოჰედი" ერთდროულად ოთხ ნომინაციაზე აღმოჩნდა წარდგენილი ვიდეოკლიპისთვის There There. სამი საპატიო ნომინაცია წილად ხვდა "ქოლდფლეის". ლონდონურ დუეტს Floetry შანსი ორ ნომინაციაში აქვს. ყველაზე მეტ – რვა ნომინაციაზე მოხვდა მის ელიოტი. დასტინ ტიმბერლეიკი კი ორი ვიდეორგოლის Cry Me A River-სა და Rock Your Body-ს წყალობით შვიდი ნომინაციით მეორე ადგილზეა.

დაჯილდოების ცერემონიალი 28 აგვისტოს ნიუ იორკის Radio City Music Hall-შია დაგეგმილი. სანახაობას მთელ მსოფლიოში მილიარდამდე ადამიანი მიადევნებს თვალყურს.



# ისტრაზე

"შორს, საქართველოში..."

ანა კორძაია-სამადაშვილი

მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთით სულ საათნახევრის გზას თუ გაივლით, ულამაზეს მხარეში ამოყოფთ თავს: უსიერი ტყეები, მდინარეები, ტბები და წყალსაცავები, მინერალური წყაროებიც კი. ეს ისტრაა.

მე-17 საუკუნემდე აქ სამი სოფელი და დაბა ვოსკრესენსკოე ყოფილა. 1656 წელს ისინი პატრიარქ ნიკოს შეუძენია – გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამ მიწაზე გრანდიოზულ მონასტერს დააარსებდა, იერუსალიმის ტაძრის ბადალს.

ახალი იერუსალიმის მონასტერი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში შენდებოდა: აღდგომის ტაძარი, ქრისტეშობის და წმინდა სამების ეკლესიები, მეფის ასულ ტატიანას სასახლე... უზარმაზარი ანსამბლია, ამჟამად რუსული ხუროთმოძღვრების ოქროს ფონდშია შეტანილი.

"იცით, რატომ ადგას ეკლესიებს ოქროს გუმბათები? რომ ღმერთს თვალში მოხვდეს." მე კი მეგონა, რომ უბრალოდ ვისოცკის მოგონილი ამბავი იყო... ოქროს გუმბათები მართლაც შორიდანვე მოჩანს, და ნაწვიმარზე, ტყეში ჩაფლული, განსაკუთრებით ლამაზია.

ამ მშვენიერი ტყითაა გარშემორტყმული ისტრას წყალსაცავიც. მართალია, მას ნაკლებად რომანტიკული ისტორია აქვს: 1930 წელს შეიქმნა და მოსკოვის სახელობის არხის ნაგებობათა კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. საკმაოდ დიდი წყალსაცავია, მრავალი სრუტით. ოდესღაც ითვლებოდა, რომ ამ მხარეში ყველაზე მეტი თევზი სწორედ ამ წყალსაცავში იყო, და დიდი იმედი მქონდა, რომ ერთხელ მაინც ვნახავდი ცოცხალ ქარიყლაპიას. არ გამიმართლა.

ვერ გავარკვიე, ვის უნდა უმადლოდეს ისტრა ასეთ უბედურებას, მაგრამ ფაქტია, რომ მისი წყალი ამჟამად მოწამლულია: კარგა ხნის განმავლობაში რაღაც საშინელება ჩაედინებოდა, და როცა ეკოლოგებმა განგაში ატეხეს, გვიანი იყო. წყალში ცუდი ჭიები გაჩნდა, თევზებმა შეჭამეს და დაიწამლნენ. იმდენი დაიხოცა, რომ თოლიები უკვე ზანტად ფრენენ, ნადირობა აღარ უწევთ და საძაგლად არიან გაზარმაცებული.

უზარმაზარი თევზები წყლის ზედაპირზე ცურავდნენ, იმდენად დიდები იყვნენ, რომ თავიდან, როცა პირსზე მდგომი



ისტრა. ახალი იერუსალიმი



თუკი ღრმად შესცურავთ, ისტრაში ბანაობაც შეიძლება

წყალს გადავცქეროდი, ერთი თევზი, ნავი ან რაღაც ასეთი ცხოველი მეგონა. მაგრამ პატარა ბიჭმა იქვე ჩამიკლა ყველანაირი რომანტიკული წარმოდგენები: "თევზია, ოღონდ ჰაერი არ ჰყოფნის. სულს ღაფავს, და ნუ შეხედავ, მალე მოკვდება." ცხადია, ამის შემდეგ წყალში შესვლის არავითარი სურვილი არ გამჩენია. ამბობდნენ, წყალი მარტო ნაპირებთან "ყვავის", სიღრმეში ნავებით რომ გავიდეთ, იქ სუფთააო, მაგრამ მაინც არ მეამა.

ისტრაზე ნამდვილედ არ მოვხვდებოდი, რომ არა ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც "მწვანეებთანაა" დაკავშირებული და რომლის მიზანიც ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვაა. სწორედ ამ პრინიციპით თანამშრომლობს ჰაინრიხ ბიოლის ფონდი საისტორიო-საგანმანათლებლო, ადამიანის უფლებების დამცველ და საქველმოქმედო საზოგადოება "მემორიალთან" და მომხმარებელთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციასთან – იმ ორგანიზაციებთან, რომელთა წყალობითაც, უკვე მესამე წელია, ისტრის ნაპირას საზაფხულო ბანაკი-სკოლა "კუნძული" არსებობს.

კუნძულის "მცხოვრებლები" აქ თავიანთი ნიჭის, გონების, სიბეჯითისა და სიმამაცის წყალობით მოხვდნენ: 13-და 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდები (რომელთაც ბავშვებს ნამდვილად ველარ ვუწოდებ) "მემორიალისა" და მომხმარებელთა კონფედერაციის კონკურსების გამარჯვებულნი არიან.

საკონკურსო თემები არც ქართველ მოზარდთათვისაა უცხო: "ოჯახის ისტორია", "ადამიანი და ომი", "ადამიანი და მისი პატარა სამშობლო". ნამუშევრები უდიდესი სიამოვნებით წავიკითხე, შესანიშნავია, ფაქტობრივად, დასრულებული მოთხრობებია: "შაკურ რახიმოვი – ცხენიპარიების მეფე", "თქმულება წინაპრების შესახებ, რომლებიც ბედნიერების საძებნელად თეთრი რუსეთიდან შავ ურჩხულთან წავიდნენ", "ებრაელთა სათვისტომოს კვალი ქალაქ ბორისოგრებსკში" და მრავალი, მრავალი სხვა.

ვინაიდან წიგნიერ და თან აშკარად დაუზარელ ბავშვებთან მქონდა საქმე, ერთი რაზმის წევრებს ვთხოვე, დაეწერათ, როგორი ჰგონიათ საქართველო – მთელი იქ ყოფნის განმავლობაში ელენე ნოდიას და მე დაუფარავი ინტერესით გვათვალიერებდნენ და მივხვდი, რომ რაღაც უცხო ფრინველების შთაბეჭდილებას ვახდენდით: ესპანელი უცხოელია, გერმანელიც უცხოელია, ეს ვინღაა? შევთანხმდით, რომ ანონიმური ნაწერები იქნებოდა, რადგან ვშიშობდი, რომ გაიპრანჭებოდნენ.

არ გაპრანჭულან. აი, მათი პასუხები:

"საქართველოს შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს. არა, არც საშინელია და არც საშიში. პირიქით, ძალიან მინდა იქ მოხვედრა. ჩემთვის საქართველო მშვენიერი მთებია, ზღვა, უამრავი ხილი. სამოთხე."

"...საქართველო მთიანი ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ მოხუცი ბრძენები გრძელი ჭაღარა წვერით და მშვენიერი გოგონები, გრძელი კაბებით, რომლებიც არაჩვეულებრივად მღერიან და თავზე წყლიანი კოკები აქვთ შემოდგმული..."

"ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ამ ქვეყანაში ნამყოფი ვარ. სულ მზე იყო და სიმშვიდე. მახსოვს, ბაღი იყო, მსხალი, კაკალი, ქათმები. მოხუცი ქალი იყო, რომელიც თავის სახლს უვლიდა. კიდევ - ინდაურები, სულ რაღაცით უკმაყოფილო იყვნენ. ლურჯი ზღვა იყო, გამოქვაბულები. სულ კარგ გუნებაზე ვიყავი..."

"საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ აფხაზეთში ვიყავი. ამიტომ ვიცი, საქართველო როგორია: სიცხე, ხილი, მთები, ზღვა, ტყე..."

გეცინებათ? მე არა. ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ ჩემი სამშობლო სამოთხე ჰგონიათ. აბა, ჩვენს ბავშვებს ვკითხოთ, რა იციან ბურიატიის, ებრაული ავტონომიური ოლქის, კომის, მორდოვიის, სახალინის ან ტივას შესახებ. გარწმუნებთ, ბევრს ვერაფერს იტყვიან. არადა, იქაც ხალხი ცხოვრობს, "რომელთაც ისევე, როგორც ჩვენ, თავიანთი სამშობლო, თავიანთი მხარე უყვარს." ეს უკანასკნელი ფრაზა ციტატაა ჩუვაში ანა მიხაილოვას წერილიდან – დაიბნა და გვარი მიაწერა. მერე მომადგა და მკითხა: "ხომ არ გეწყინათ?"

აბა, რა უნდა მწყენოდა? სულ პირიქით!

# მოდაშია სკოლის ფორმა

იაპონიაში სკოლის ფორმა მოულოდნელად მოზრდილთა მოდის ეტალონად იქცა. ახლა გოგონები სკოლის კედლებს მიღმა იცვამენ სამოსს, რომელიც იაპონელი სკოლის მოსწავლეების ფორმას ჰგავს: თეთრი ბლუზები, მუქი ცისფერი მოკლე ქვედაბოლოები, მუხლამდე წინდები და მსუბუქი, ტანსაცმელთან ჰარმონიულად შეთანხმებული ტყავის ფეხსაცმელები.

თუმცა ხშირად მოზარდები, შეძლებისდაგვარად, მოცემული ფორმების ნაცვლად მასთან მიმსგავსებული სტილის მიხედვით იმოსებიან. იმ პერიოდის შემდეგ, როდესაც სკოლის ფორმა ერთფეროვნებისა და პიროვნების დათრგუნვის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ბოლო ორი წლის განმავლობაში სრულიად განსხვავებული ვითარება შეიქმნა. ახლა, სკოლის ფორმა იპონელი გოგონებში ულტრა მოდად ითვლება.

გოგონების უმრავლესობა, სკოლის შემდეგ და დასვენების დღეებშიც კი უარს ამბობს თავისუფალ ჩაცმაზე. ზოგიერთი მოსწავლე, რომელთა სკოლებში ჯერ ფორმები არ შემოუღიათ, მაინც თავიანთი სურვილის მიხედვით სპეციალური ტანსაცმლით დადიან. ფირმა "ოძაკისეძის" თანამშრომლები, რომელიც დასავლეთ იაპონიაში სკოლის ფორმების დამზადებითაა ცნობილი, ადასტურებენ, რომ მათი პროდუქციის რეალიზაცია ბევრად უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე ვარაუდობდნენ. თუმცა მოსწავლეების საერთო რაოდენობა ნელ-ნელა მცირდება.

მოულოდნელად, საშუალო სკოლის მოსწავლეობა საკმაოდ პრესტიჟული რამ გახდა, აღნიშნავს "უოლ სტრიტ ჟორნალი", იაპონელი მოსწავლეები მაღალი მოდის არბიტრებად მოგვევლინენ. ახლა ყველა, მხატვარმოდელიორებიდან დაწყებული, ელექტრონული პროდუქციის მწარმოებლებით დამთავრებული, მათი გემოვნების მიხედვით ორიენტირდება. სწორედ მოსწავლეები იყვნენ პირველები, ვინც მობილური ტელეფონებიდან ელექტრონული წერილების გაზავნა დაიწყეს. რაც შეეხება სკოლის ფორმებს, ახლა ყველას



იაპონელი გოგონები ბავშვობას ვერ ელევიან

მისი ტარების სურვილი აქვს. საინტერესოა, რომ ბიჭებში, ფორმის მოდად ქცევის ტენდენცია, აბსოლუტურად არ ვრცელდება, ისინი ამ მოდის დამაარსებლად არ ითვლებიან. გარკვეულწილად, მოზარდებში სკოლის ფორმის ასეთი პოპულარობის მიზეზი, შესაძლოა ის იყოს, რომ ისინი ბავშვობას ეშურებიან, რომელსაც სულ ახლო მომავალში სამუდამოდ დაკარგავენ. მძაფრი და გაჭიარუნებული ეკონომიკური მდგომარეობის დაცემა, რომელსაც ამჟამად იაპონია განიცდის, ზღუდავს ახალგაზრდების შესაძლებლობებს. კარიერის გაკეთება განსაკუთრებით გოგონებისთვის, დიდ სირთულეს წარმოადგენს.

სასკოლო ფორმა, არც ისე შორეულ წარსულში, საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჯერ კიდევ 10 წლის წინათ, მოსწავლეების ფორმების მიმართ დამოკიდებულება, უკიდურესად ნეგატიური იყო. იგი მოსწავლეებისთვის მკაცრი კონტროლისა და ინდივიდუალობაზე ზეწოლის ყველაზე აშკარა სიმბოლოდ ითვლებოდა. მკაცრი წესებისა და სკოლის ფორმების ტარების რეგლამენტთან ერთად, უმრავლეს სკოლებში, უფროსკლასელებს, კოსმეტიკისა და სამკაულების ტარება ეკრძალებოდათ.

თუმცა იაპონიაში ყოველთვის არსებობდნენ სკოლის ფორმების თაყვანისმცემლები. მათთვის იგი ეროტიკულ სიმბოლოდ იყო მიჩნეული. სკოლის ფორმებში გამოწყობილი გოგონები, მამაკაცებისათვის განკუთვნილ იაპონურ ჟურნალებსა და პორნოგრაფიულ ფილმებში, ერთ-ერთ მთავარ და უცვლელ ატრიბუტად რჩება.

70-80 წლებში უფროსკლასელთა უმრავლესობამ დაიწყო ბრძოლა სასკოლო ფორმების ტარების წინააღმდეგ. იაპონური სკოლების უმრავლესობა, ან არსებითად ამსუბუქებდა, ან სულაც აუქმებდა ფორმების ტარების მოთხოვნას. ეს კი იმისთვის გაკეთდა, რომ მის კედლებში მაქსიმალურად მეტი მოსწავლე მიეზიდა – რადგან ერის დაბერების პირობებში შობადობა იკლებს და შესაბამისად მცირდება ბავშვების რიცხვი.

ახლა კი ზოგიერთი სკოლა, ფორმების გათანამედროვებაზე მუშაობს, რისთვისაც ცნობილი იაპონელი დიზაინერები მიიწვიეს, რომლებიც ფორმების გაცილებით ეფექტურ მოდელებს შექმნიან, გაცილებით მოკლე ქვედაბოლოებითა და ფერადი კოფთებით.

რასაკვირველია, ეს ტენდენცია არ გულისხმობს იმას, რომ გოგონებს ერთნაირად ჩაცმის სურვილი აქვთ. ფაქტიურად გოგონების უმრავლესობა საკუთარ, უნიკალურ სკოლის ფორმებს არჩევს. ზოგიერთი, მეტნაკლებად პოპულარული ფორმების მოდელებისათვის შავი ბაზარიც კი შეიქმნა. სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ერთმანეთში ცვლიან თავიანთ ქვედაბოლოებს, თავშალებსა და კოფთებს.

სკოლის ფორმების ერთ-ერთი პოპულარულ მოდელად ითვლება კომპლექტი, რომელშიც შედის ტრადიციული "მატროსკა", თეთრი ბლუზით, ცისფერი ქვედაბოლოთი და ნაქსოვი ცხვირსახოცით.

სკოლის ფორმების ჩაცმის მსურველთა რიცხვის ზრდა, სკოლის ადმინისტრატორებს არ ახარებს, რადგანაც მათი აზრით ეს მოსწავლეების შემოქმედებით და ინდივიდუალურ ზრდას აბრკოლებს.

## ქართული კულტურის ცენტრი სანქტ-პეტერბურგში

საქართველოსა და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის მიღწეულია შეთანხმება თბილისში რუსული კულტურის ცენტრის და სანქტ-პეტერბურგში ქართული კულტურის ცენტრის გახსნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ისაუბრა.

მისი თქმით, კულტურის ცენტრების შექმნა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებას და გაღრმავებას, რასაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მდიდარი ტრადიციები აქვს.

თბილისში პრეზენტაცია ოქტომბერშია დაგეგმილი და ღონისძიებაზე, სხვა სტუმრებთან ერთად, რუსეთის პრეზიდენტის მეუღლეც არის მოწვეული. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის მონაცემებით, რუსეთის პრეზიდენტის მეუღლისგან საქართველოში ვიზიტზე პრინციპული თანხმობა უკვე მიღებულია. როგორც ვიცე-სპიკერმა აღნიშნა, ამჟამად თბილისის და სანკტ-პეტერბურგის ხელმძღვანელობა წყვეტენ ამ ცენტრების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხს. ***კავკას-პრესი***

## ჩეჩენი რეჟისორი შვეიცარიაში გაემგზავრა

ჩეჩენი ეროვნების რეჟისორი მურად მაზაევი გუშინ შვეიცარიაში გაემგზავრა. იგი ქალაქ ლოკარნოში 56-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე საკუთარი ფილმის "მარშოს" ("თავისუფლება") ჩვენებას დაესწრება.

როგორც მურად მაზაევმა განაცხადა, ფესტივალზე პირველად, 6 აგვისტოს ფილმის ჩვენება უკვე შედგა, 16-ში კი სურათს განმეორებით იხილავენ.

ფილმი "მარშო" 2000-2002 წლებში პანკისის ხეობაში გადაიღეს. სურათი ომის თემაზეა შექმნილი და კონფლიქტისადმი ხალხის დამოკიდებულებას ასახავს.

ფილმში მთავარ როლს თავად რეჟისორი მურად მაზაევი თამაშობს. მას პარტნიორობას ქართველი მსახიობებიც უწევენ. რეჟისორი ამავდროულად საკუთარი ფილმის სცენარის ავტორიც არის. სურათის გადასაღებად სულ 16 ათასი დოლარი დაიხარჯა. ჩეჩენ რეჟისორს ფინანსური დახმარება ინგლისელმა მსახიობმა ვანესა რედგრეივმა გაუწია.

მურად მაზაევს განათლება თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტში აქვს მიღებული. ***ინტერ-პრესი***

## ფილმი საბჭოთა დიქტატორზე



სტალინი - მიუზიკლის გმირი

მელ ბრუქსის მიუზიკლის "ჰიტლერის გაზაფხულის" დადგმის შემდეგ, ჯერი მეოცე საუკუნის სხვა დიქტატორზე მიდგა. "საღამოს ჯოსთან ერთად – მიუზიკლი "სტალინი", - ასე ეწოდება ნამუშევარს, რომელიც კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ჯეიმს სტივენსმა დადგა. სპექტაკლში დიქტატორის გასვენება მომღერალთა გუნდის თანხლებით, "მულენ რუჟის" სტილშია გადაწყვეტილი.

სპექტაკლის ავტორი პირველად გამოჩნდა ედინბურგში ხელოვნების ფესტივალზე "ფრინჯი", რომელიც გასულ კვირას გაიხსნა. 22 წლის რეჟისორი დამწუხრებულია, რომ ყველამ კარგად ვერ გაიგო მისი ჩანაფიქრი. მაყურებელი, რომელიც უარყოფითად განეწყო ახალგაზრდა რეჟისორის გადაწყვეტილების მიმართ, ქუჩაში ხევდა სპექტაკლის აფიშებს. როგორც თავად რეჟისორი ამბობს, მას უნდოდა შორს წასულიყო მშრალი, ისტორიული ფაქტებისგან და მოეთხრო ერთი ჩვეულებრივი ადამიანის ისტორია. "ჩვენ არ ვამსუბუქებთ მაშინდელი რეჟიმის სისასტიკეს, ჩვენ უბრალოდ ვცდილობთ, ადამიანები ჩაფიქრდნენ", - ამბობს ჯეიმს სტივენსი. კრიტიკოსებმა კი სპექტაკლი უმალ შეადარეს მელ ბრუქსის "ჰიტლერის გაზაფხულს", თუმცა სტივენსმა თქვა, რომ არასდროს სმენია ასეთი სპექტაკლის შესახებ. ამასობაში კი ედინბურგში კიდევ ერთ სპექტაკლს აჩენებენ. აარონ ბარშაკის Osama Likes it Hot at the Smirnoff Underbelly-ის შესახებ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე ყველაზე ბევრს საუბრობენ.

## ვარსკვლავი კევინ კოსტნერისათვის

მსახიობ კევინ კოსტნერს, რომელიც სულ მალე ახალ ფილმზე Open Range-ზე დაასრულებს მუშაობას, ლოს ანჟელესის დიდების ბილიკზე ვარსკვლავსაც გაუხსნიან. 48 წლის კოსტნერი, რა თქმა უნდა, ჩავა საკუთარი ვარსკვლავის სანახავად, რომელიც ჰოლივუდის ბულვარის გაყოლებაზე განთავსდება, ოსკარების ცერემონიალის მასპინძლის - კოდაკის თეატრის პირდაპირ.

"ხელშეუხებელნისა" (The Untouchables) და JFK-ს პროტაგონისტი გმირის ცხოვრებაში სხვა სიახლეებიცაა. ამასწინათ კოსტნერმა განაცხადა, კრისტინ ბაუმგარტნერთან დაქორწინებას აპირებს. რაც შეეხება ახალ ფილმს, რომლის რეჟისორიც და მთავარი როლის შემსრულებელიც კოსტნერია, ის პარასკევს გამოვა ჩრდილოეთ ამერიკის კინოთეატრების ეკრანებზე. ახალი ფილმის წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, ჰოლივუდის ვარსკვლავის ცხოვრებაში წარმატება და წარუმატებლობა ხშირად ენაცვლება ერთმანეთს. კოსტნერის პირველმა ფილმმა - "ცეკვა მგლებთან" (1990) 12 ნომინაციიდან 7 "ოსკარი" მიიღო, მათ შორის, საუკეთესო ფილმისა და საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის. ამას მოჰყვა, ასე ვთქვათ, ჩავარდნის პერიოდიც, რაც ძირითადად დაკავშირებულია ორ ფილმთან – "წყლის სამყარო" (Waterworld, 1995) და "წერილი ბოთლში" (Message in a Bottle, 1999). ამ კინოსურათების რეცენზიები საკმაოდ მწირი იყო. კევინ კოსტნერის ახალ ფილმს მაყურებელი უკვე მოუთმენლად ელის.



კოსტნერი მალე ახალ ფილმს შემოგვთავაზებს

# ადამიანი, რომელიც დაბადებიდან ცეკვავდა

კვირას ლოს ანჟელესში ამერიკელი მსახიობი, მოცეკვავე და მომღერალი, 57 წლის გრეგორი ჰაინსი კიბოს დაავადებისგან გარდაიცვალა. ჰაინსი ცნობილია სხვადასხვა ფილმებიდან. მაგრამ, პოპულარობა როგორც მსახიობს, ფრენსის ფორდ კოპოლას ნამუშევარმა "კოტონის კლუბმა" მოუტანა. ყველაზე მეტი ენერგია კი მან კლასიკური სტეპის ხელოვნების პოპულარიზაციას შეალია.

მსახიობი გრეგორი ჰაინსი "საბჭოთა" მაყურებელმა 1985 წელს გაიცნო, როდესაც ეკრანებზე გამოვიდა ფილმი "თეთრი ღამეები". სურათში ჰაინსი ცნობილ რუს ქორეოგრაფთან, მიხეილ ბარიშნიკოვთან ერთად მონაწილეობდა.

წარმოშობით აფრო-ამერიკელი გრეგორი ჰაინსი 1946 წელს



სტეპის ოსტატი გრეგორი ჰაინსი



ნიუ იორკში დაიბადა. მოგვიანებით კი მისი მშობლები ამბობდნენ, რომ პირველი რაც ლაპარაკისა და სიარულის შემდეგ ისწავლა, ეს იყო ფეხების ბაკუნით ცეკვა (ე.წ. "ჩიჩოტკა"). როგორც ჩანს, ეს ნიჭი ჰაინსების ოჯახს გენებში ჰქონდათ. მოგვიანებით, კერძოდ კი ხუთი წლის ასაკიდან, გრეგორი მამისა და ძმის საოჯახო მუსიკალურ კოლექტივს Hines, Hines and Dad-ს შეუერთდა. რვა წლიდან კი ის უკვე ბროდვეის სცენებზე გამოდიოდა. ამის გამო მშობლები მშვიდად გრძნობდნენ თავს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ნიჭის წყალობით მათი შვილი სიღარიბიდან იოლად გამოძვრებოდა. მოგვიანებით ჰაინსმა ეს ნიჭი კინოშიც, კერძოდ კი "კოტონის კლუბშიც" გამოავლინა.

"ვერ ვიხსენებ ცხოვრებიდან ვერც ერთ წუთს, როდესაც არ ვცეკვავდი, - ამბობდა მსახიობი, - მივხვდი თუ არა, რომ ვცოცხლობ, რომ მყავს მშობლები და ვისწავლე სიარული, მაშინვე ვისწავლე ცეკვაც".

1992 წელს გრეგორი ჰაინსმა პრემია "ტომიც" მიიღო მიუზიკლ Jelly's Last Jam-ში მონაწილეობისთვის. 1997 წლიდან მას ჰქონდა საკუთარი სატელევიზიო გადაცემა "გრეგორი ჰაინსის შოუ", რომელიც CBS-ის ეთერში გადაიცემოდა. ამას გარდა, იგი მონაწილეობდა პოპულარულ ამერიკულ ტელესერიალში "ვილი და გრეისი". ჰაინსის კომედიური როლები ცნობილია ფილმებით: "საუკუნის აფიორა", "მსოფლიო ისტორია, პირველი ნაწილი"; მსახიობი გადაღებულია ასევე მისტიკურ-ფანტასტიკური ფილმში: Eve of Destruction.











## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


## TV პროგრამა
### 12 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "მკვლელობანას თამაში". მთ. რ-ში: რობერტ კერედინი, ლინდა ჰემილტონი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "კონკია" **11.40** დოკ.სერიალი "ავიაშოუ" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.00** ლერერის შოუ **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.15** მხ. ფილმი "ჯონი-მნემონიკი" **16.50** ტელესერიალი "ძილის წინ" **17.05** დოკ. სერიალი "ქვეყანა, ქვეყნები" **18.00** ვესტნიკი **18.15** დოკ. ფილმი "კურსკის ბედისწერა" **19.10** ბასტი-ბუბუ **19.30** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **21.50** "ჩვენი ფეხბურთი" **22.40** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება?" **00.00** მხ. ფილმი "არამზადას სიკვდილი".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ" მთ.რ-ში ჟერარ დეპარდიე. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** "ბრავო" "შოსე" მთ. რ-ში რიზ უიზერსპუნი, კიფერ საზერლენდი. **01.40** "ღამურა" "ტუმსტოუნი-ველური დასავლეთის ლეგენდა" მთ. რ-ში კურტ რასელი, ველ კილმერი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** ზღაპარ იყო **19.40** მხ. ფილმი "სიკვდილის ალმასი" **21.10** დოკ. ფილმი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "კაცია და გუნება".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი" **13.30** მხ. ფილმი "გ ზაჯვარედინი" **15.00** მხ. ფილმი "ეპიდემია" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 2" **22.30** მხ. ფილმი "ჯუმანჯი".

### იბერია

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** ბურთი და მოედანი **10.50** მხ. ფილმი "ადრენალინი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "სასიკვდილო ცდუნება" **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. "ორმაგი მკვლელობა" **22.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ვიქტორ ფოგელი, რეკლამების მეფე" **01.10** ღამის ფილმი.

### მეცხრე არხი

**09.30** სერიალი "ყრმა სახელად იესო" 1-ლი ს. **10.20, 13.45, 15.15, 16.20, 17.20, 18.50 22.05** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **11.50** მხ. ფილმი "დიდი" **14.00** დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **15.30** მხ. სერიალი "ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი "ბასტერ კიტონი" 1-ლი ს. **17.50** სერიალი "ყრმა სახელად იესო" **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.10** სერიალი "ღამის ექიმები" 1-ლი ს. **22.25** "ტელემეტრი" - საპონი - ასპირინი. **22.55** მოკლ. მხ. ფ. "სლოკინი", "შემთხვევითი, სასტიკი" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** მხ. ფილმი "ფრანგი მეკობრის ყურე".

### იმედი

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "თოჯინა" **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **23.55** მძაფრსიუჟეტიანი კინო "საშიში გმირები" **02.00** ქრონიკა.

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** საბავშვო ფილმი "სტიუარტ ლიტლი" **10.30, 19.45** ვიდეოარტი **10.35** ისტორიული ფილმი "მეფეთა მეფე" **12.10** მხატვრული ფილმი "ოცეული" **14.05, 22.45, 01.00** მუსიკა **14.25** მელოდრამა "ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება" **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტსერიალი **17.00** დრამა "მისისიპი ცეცხლში" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40, 22.40** "Пресс-папье" **19.50** დოკუმენტური ფილმი **20.25** მხატვრული ფილმი "რახმონი" **21.55** "გალერეა" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.25** დრამა "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" **03.20** ფილმი-კატასტროფა "კასანდრას უღელტეხილი".

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.40** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.10** მელოდია **10.20** კომპიუტერული თამაშები **10.25** მელოდია **10.35** მობილურები **11.20** მელოდია . **11.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.25** დისნეი და მისი მეგობრები **12.55** კომპიუტერული ტექნიკა **18.15** მოკლედ... საქართველო, ეკონომიკა **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.50** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **21.10** კომპიუტერული თამაშები **21.20** დოკ.ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" **21.40** მობილურები **22.20** "კინოკლუბი" - "ვარსკვლავური დესანტი". ფანტასტიკა . რეჟ: პოლ ვერხოვენი. როლებში: მაიკლ აირონსაიდი, კასპერ ვანდიენი. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" - მე-12 სერია **01.10** აუდიო-ვიდეო-ტელე **01.55** ანონსი.

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00** Сериал "Земля любви, земля надежды" **11.10** Сериал "Ребята из нашего города" **12.05** Док.фильм "Агент Штирлиц" **12.35** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.15** Боевик "Случай в квадрате 36-80" **14.40** "Крылья" **15.05** Э. Радзинский. "Золотой век авантюристов". Фильм 2 **16.15** Худ.фильм "В любви и на войне" **18.30** Док. детектив "Троянский конь". **19.20** "Ударная сила" **19.50** Худ.фильм "Сокровища мертвых" **22.00, 00.30** "Время" **22.30** Сериал "Крестный отец" **23.35** Сериал "Шпионка" **01.00** "На футболе" **01.30** "Русский экстрим" **02.00** Боевик "Однажды в Китае".

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55** Сериал "Каменская" **10.50** Сериал "Возвращение Будулая" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** Детектив "Марш Турецкого 2" **14.50, 17.30, 01.15** "Вести. Дежурная часть" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30** Сериал "Семейные тайны" **18.10** Сериал "Гражданин начальник" **19.05** Сериал "Линия защиты" **20.00** Сериал "Комиссар Рекс" **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00** Детектив "Марш Турецкого 2" **00.00** "Вести +" **00.20** "Гонка за супербомбой" **01.35** Худ.фильм "Завтрак чемпионов" **03.45** "Дорожный патруль" **04.00** Сериал "От Земли до Луны" **05.00** Мелодрама "Перекрестки".

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **10.05** Золотой фонд НТВ. "Намедни-92" **11.00** "Сегодня утром" **11.20** Худ.фильм "Фронт без флангов", 1 с. **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45** "Сегодня" **13.35** "Страна советов" **14.35** Сериал "Крот" **15.45** "Криминал" **16.35** "Принцип "Домино". "Как уберечься от маньяков?" **18.30** Сериал "Скорая помощь 3" **19.30** Памяти экипажа подводной лодки "Курск". "Уйти, чтобы вернуться" **20.35** Сериал "Улицы разбитых фонарей" **21.50** Сериал "Крот" **23.00** "Страна и мир" **23.30** Сериал "Клан Сопрано" **00.30** Сериал "Улицы разбитых фонарей" **02.10** "Гордон" **03.10** Сериал "Воры".